კვირა, 31 აგვისტო 1924 წ. მეორე წელიწადი პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# სიმართლის ხმა

№ 41 ყოველ კვირეული ჟურნალი № 41

რედაქციის მისამართი: ტფილისი, პლეხანოვის პროს. სასტუმრო „ნ ო ე“ ოთახი № 102.

ფასი 5 კაპ.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე { დღის 2 ს. სალამოს 6 ს.

## 1924 წლის 25 აგვისტო.

ს.-დ. პარტიის უკანასკნელ ყრილობის აღსანიშნავად მოწვეულ გაფართოებულ თათბირმა ორი დღე იმუშავა, მაგრამ ამ ორი დღის განმავლობაში ბევრად საყურადღებო კითხვები გადასჭრა და მოაგვარა, ჩვენ თავიდანვე ვამბობდით, რომ პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა, რომელიც იქმნება საერთაშორისო მასშტაბით და საბჭოთა ხელისუფლების შინაური მიღწევები, რაც დრო გადის, უფრო მეტი სისწრაფით ადნობს ამ ხელისუფლების მოწინააღმდეგე ბანაკში შექმნილ უნდობლობის და შეურიგებლობის ყინულს.

ამ მხრივ 26 აგვისტოს დასრულებული თათბირი მეტად დამახასიათებელია. აქ იშვიათ ერთსულოვნობას და თანხმობას ჰქონდა ადგილი. თუ გასულ წლის ყრილობაზე გადამწყვეტ მომენტში ჩვენ ვამჩნევდით რაიმე ყოყმანობას, თუ უჭირდა მაშინ იატაკიდან ახლად ამოსულ ამხანაგებს ზურგი შეექციათ მთელ წარსულისათვის, წელს, ყრილობის აღსანიშნავ თათბირზე, რომელსაც 253 დელეგატი დაესწრო, ასეთი სულისკვეთების აჩრდილიც აღარ ყოფილა.

ამ ერთი წლის განმავლობაში ქართულ ს.-დემოკრატიამ ბევრი ისეთი ნაბიჯი გადასდგა, რომელმაც კიდევ უფრო დაარწმუნა ყრილობის გარშემო გაერთიანებული ამხანაგები 25 აგვისტოს პლატფორმის სისწორეში და მიზანშეწონილობაში.

წლევანდელ თათბირზე სოც.-დემ. პარტიასთან დამოკიდებულობის კითხვა არც კი მდგარა. ის თავისთავად გადაჭრილი იყო, მისგან ჩამოშორება და ყოველგვარ კავშირის გაწყვეტა იმდენად ურყევი ფაქტია, რომ ამაზე შეჩერება თათბირმა ზედმეტად მიიჩნია.

სამაგიეროთ საკითხი იდგა უკვე სულ სხვა მხრივ, რომელიც არ მდგარა გასულ წლის ყრილობის დღის წესრიგში და, რასაც ბუნებრივად არც უნდა ქონოდა მაშინ ადგილი.

ესაა—კომპარტიის და 25 აგვისტოს პლატფორმის გარშემო გაერთიანებულ ამხანაგების ურთიერთობა,—სოც.-დემ. პარტიის რიგებიდან გასულ მახანაგების როლი საბჭოთა აღმშენებლობაში.

ამ ერთი წლის განმავლობაში თვით ცხოვრებამ წამოაყენა ის ჩვენს წინაშე და მისი პრაქტიკულ გადაჭრის აუცილებლობა დაიბადა.

ნაწილი ამხანაგებისა უკვე კომპარტიის რიგებშია და მენშევიკურ ცრუმორწმუნეობიდან საბოლოოთ განიკურნა, მაგრამ ბევრი ამხანაგები ჯერ კიდევ პარტიაში არ იმყოფება, ხოლო საბჭოთა აღმშენებლობაში მხურვალე მონაწილეობას იღებს და აქტიურად არის ჩაბმული საბჭოთა საქართველოს ეკონომიურ აღორძინების საქმეში.

ათეულ წლობით ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლამ, ბოლო დროს ერთმანეთში იარაღით დარევამ და სისხლის ღვრამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქართულ ს.-დემოკრატიის და კომპარტიის შორის, მწარე ტკივილების ღრმა კვალი დასტოვა ჩვენს ურთიერთობაში და მის საბოლოო აღმოსაფხვრელად, წასაშლელად საჭიროა იშვიათი სიფრთხილე, წრფელი მეგობრული განწყობილება კომპარტიის და 25 აგვისტოს პლათფორმაზე მდგომ ამხანაგების შორის.

ამ მხრივ საყურადღებოა საქართველოს კომპარტიის ცეკას წარმადგენელს განცხადება, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტია ღებულობს ყოველივე ზომებს აღმოფხვრილი იქნას ხმარებიდან სიტყვა „ყოფილი“ და მშრომელთა საერთო ოჯახში არავითარი განსხვავება და გარჩევა არ ყოფილიყოს.

თათბირმა გამოსთქვა სურვილი, რომ ამხანაგებმა განაგრძონ სვლა ერთხელვე აღებულ სწორი გზით და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება-გამაგრებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღონ, თავის მხრივ კომპარტიის ცეკა ფართეთ უღებს კარებს ყველა გულწრფელ და კეთილ ზრახვებით მუშათა ხელისუფლებასთან დაბრუნებულ ამხანაგს და მშრომელი კლასის შეთანხმებულ, შეერთებულ მუშაობას დიდის აღტაცებით ეგებება.

25-26 აგვისტოს თათბირი აზრთა სოლიდარობის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა.

ჩვენ ვისურვებთ მხოლოდ, რომ ეს თანხმობის სული, ამხანაგური სოლიდარობა გადაეტანოს დელეგატებს იმ ათეულ ათასიან მასაში რომელსაც ისინი აერთიანებენ.

---

## რას იტყვის ნ. ჟორდანია?

თბილისის გაზეთებში 29 აგვ. დაიბეჭდა ვალიკო ჯუღელის წერილები. ამ გრძელ წერილებში მკითხველი ვერ აღმოაჩენს საღ აზრს, რომელსაც პოლიტიკური ღირებულება ჰქონდეს, ვინაიდან პირადი მომენტი ჩრდილავს ყველაფერს და მხოლოდ მკრთალად, ობლად მოსჩანს აქა-იქ ორიოდე სიტყვა საკითხის პოლიტიკურ ნიადაგზე დააყენებს სურვილსა. სამწუხაროდ ვალიკოს ამ საკითხებზე თავისი აზრის გამოთქმაც კი ვერ გაუბედია, მანამდის, სანამ „ჩეკა“-ში არ მოიწვია ჯაფარიძე, ცისკარიშვილი და ასათიანი (დამფუძნებელი კრების უქვორუმო სხდომა). წერილები ერთი მეორის გამეორებაა და შეიცავს მხოლოდ და მხოლოდ, რომ გადაწყვეტილი აქვს მას თავი მოიწამლოს-მოიკლას.

თავის მოკვლა ნიადაგ დაკარგულ, დრო მოჭმულ საზოგადოების პირმშო შვილთა ფსიქოლოგიას შეეფერება და ამიტომ თვითმკვლელობას ბურჟუაზიული აზრი გმირობათ ნათლავს, რადგან მისთვის, ბურჟუაზიისთვის, სინამდვილის განაჩენისაგან თავის დასაღწევი სხვა გზა არ მოიპოვება. მუშათა კლასი, როგორც მომავლისათვის მებრძოლი, კითხვას არასოდეს ასე არ მიუდგება. პირიქით მას ასეთი გამოსავალი სამარცხვინოდ, დამღუპველად მიაჩნია.

ბოლოს და ბოლოს ვის გაახარებს ვალიკოს თვითმკვლელობა, გაახარებს რა თქმა უნდა შოვინიზმით მოწამლულ ელემენტებს და მუშათა კლასის მტრებს, რომლებიც ამას კიდევ და კიდევ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოიყენებენ საპროვოკაციო მა-

სალად. ვალიკო ამ ანბანურ ჭეშმარიტება საც ველარ ამჩნევს. ის დაშინებულია—რას იტყვის ნოე ჟორდანია, საზღვარგარეთის ბიურო, არალეგალური ცეკა, პარიტეტული კომიტეტი და ტყეში გაქცეული ჩოლოყაშვილი ისინი ხომ მოღალატეებათ, გამყიდველებათ მშიშარეებათ, პარტიაში უცნობ პირებათ აცხადებენ იმათ, ვინც გაბედულად გამოსთქვა თავისი აზრი-შეხედულება.

აი ასეთი "ატმოსფერა შექმნეს საზღვარგარეთის ბიურომ, არალეგალურმა ცეკამ, პარიტეტულმა კომიტეტმა, რომლების წევრი ვალიკოც იყო, რომლებმაც თავიანთ დროშაზე დააწერეს: „ერი, ერი, ერი“. ამ ატმოსფერით ახლა დამონებული ვალიკო სასოწარკვეთილებამდის მივიდა, არჩია თვითმკვლელობა. არ შეეშინდათ საქართველოს მუშებს და გლეხებს, არ შეეშინდა სეით დევდარიანს, არ შეეშინდა გიორგაძეს, ქაიხოსროშვილს აზრის თამამად გამოთქმა—სწორი გზის არჩევა, მით უმეტეს არ უნდა ეშინოდეს ვალიკოს, რომელსაც ასე ბევრი დაუწერია თავის გამბედაობა-გმირობის შესახებ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, ნოე ჟორდანია გაიმეორებს იმას, რაც სთქვა ჩვენს შესახებ. მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ თვით ნოეც იტყვის იმას, რაც სთქვა სეით დევდარიანმა, მკრთალად-გაუბედავად ვალიკო ჯუღელმა, მას შემდეგ, რაც ისიც გაეცნობა იმ მახინჯ და მლუპველ მოქმედება-მოღვაწეობას, რომელსაც აწარმოებენ თვით მისი ლოცვა-კურთხევით იქ ბიურო და აქ ცეკა-პარიტეტული კომიტეტი·

ერთხელ კიდევ ვაცხადებთ, რომ არავის ძალაუძს გაუმაგრდეს სიმართლის მცხუნვარე რევოლიუციის სხივებს. სწორია 25 აგვისტოს ჩვენ მიერ აღებული გზა, ყველა მისკენ მოიწევს, ყველა მას უახლოვდება, ყველა მას გაიზიარებს. შორს ფიქრები თვით.მკვლელობაზე, ეს არ არის რევოლიუციონური გზა და საქმე.

**ს. ფარნიევი.**

# ჩვენი თათბირი.

1923 წლის 25 აგვისტოს ყრილობის აღსანიშნავად მოწვეულ გაფართოებულ თათბირმა ორი დღე იმუშავა. მისი მნიშვნელობა ბევრად არ ჩამორჩება გასულ წლის ყრილობის მნიშვნელობასაც-კი.

ჯერ ერთი აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თათბირზე წელს ბევრი ისეთი ამხანაგები იყვნენ, რომლებიც შარშანდელ ყრილობას არც დასწრებიან, რომლებიც შარშან კიდევ ბურუსიდან თავდაუღწეული და გაურკვეველი იყვნენ. მაგრამ ამ ერთი წლის განმავლობაში ყრილობის გზა და სიტყვა, როგორც ვიცით, არა ერთმა და ორ ათასმა გაიზიარა. და ამ ათასების წარმომადგენლების სიტყვა საჭირო იყო წლის თავზე მოგვესმინა, გაგვეგო მათი გულის ნადები და მდგომარეობისადმი დამოკიდებულება.

ბიქტორ ჭედია ბათუმიდან, სიმონ ბაბლიძე ხაშურიდან, პორფილე ეფრემიძე გორიდან, სოლ. ვხდაჭკორია თბილისიდან და მრავალი სხვები პარტიულ მუშაობაში, პოლიტიკურ ბრძოლაში, მოხუცებული და გაჭალარებული ხალხია. რომლებიც 25 აგვისტოს ყრილობის დღეებში ციხეებში ისხდნენ და გადაწყვეტით ვერ გამოეთქვათ თავისი აზრი და შეხედულებები.

ყრილობის დასრულების შემდეგ-კი მენშევიკურ პარტიის რღვევა სწაფი ნაბიჯით წავიდა წინ, მის ნამდვილ ავანტიურისტულ სახეს თანდათან ეხდებოდა ფარდა, ძველი წარწერა ამ პარტიის სადგომზე „მუშათა“, „სოციალ-დემოკრატიული“ იმდენად გაცვდა და დაიცრიცა, რომ ველარ ფარავდა ქართულ მენშევიზმის ავანტიურისტულ სიშიშვლეს.

და წელს, ყრილობის წლის თავზე, შარშანდელ დეკლარაციებს და დადგენილებებს ხმა შეუერთა მას შემდეგ გამოფხიზლებულ ამხანაგებმაც. ამ თათბირზე გაისმა მთელი მშრომელი ელემენტის სიტყვა, რომელიც-კი ოდესმე თავს იყრიდა ქართულ სოც.-დემოკრატიის რიგებში.

თუ შარშან კიდევ არ შეიძლებოდა დაბეჯიდებით გვეთქვა, რომ ეს ყრილობა გარს იკრებს მენშევიკურ პარტიის მთელ მშრომელ ელემენტს—მუშას და გლეხს, თუ შარშან კიდევ როცა ჩვენს რიგებში იყო 12 ათას პარტიის წევრზე მეტი, ჩვენ ვამბობდით, რომ, მართალია ყრილობის გარეშე არის დარჩენილი ამხანაგების ნაწილი, მაგრამ ყრილობა წარმოადგენს პარტიის აქტივსო, დღეს, ამ თათბირის შემდეგ, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ყრილობის პლატფორმაზე დადგა, მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშის ქვეშ იმყოფება ქართულ სოციალ-დემოკრატიის მთელი მშრომელი ელემენტი.

ამ თათბირმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ მენშევიკური პარტია ჩვენში აღარ არსებობს, როგორც მუშათა პარტია, რომ ის საბოლოოთ გაჰქრა და გაცამტვერდა, როგორც რევოლიუციონური ორგანიზაცია.

**ძველთაგანი.**

# 1923 წ. 25 აგვისტოს საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტიის ყრილობის აღსანიშნავი გაფართოებული თათბირი

თათბირს ხსნის ამხ. ს. ფარნიევი.

მუსიკა ასრულებს ინტერნაციონალს

დღევანდელი კრება იქნება იმისი შემოწმება, როგორ გამართლდა ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები ამბობს ამხ. ს. ფარნიევი.

ამის შესახებ მოხსენებას გააკეთებენ.

ამასთან ერთად იქნება მოკლე სიტყვები ადგილებიდან, რომელნიც კრებას გააცნობენ ჩვენ მუშაობას პროვინციებში და ცენტრში. საჭიროა ამხანაგებო პრეზიდიუმი, გთხოვთ დაასახელოთ ასეთი, თუ ვისმე გაქვთ სია. ამხ. შ. გაჩეჩილაძე ასახელებს შემდეგ ამხანაგებს:

1. ფარნიევი სანდრო,
2. ჭუმბურიძე თეიმურაზ
3. ჯიბლაძე ვასილ
4. ჭედია ბიქტორ
5. ბაბლიძე სიმონ
6. პაიჭაძე სოლომონ
7. ერქომაიშვილი დავით
8. ეფრემიძე პორფილე
9. ჩოჩუა ოლღა
10. როსტომაშვილი არშაკ
11. ჩლაიძე ნიკო
12. ცირეკიძე ვანო
13. გნოევოი პეტრე
14. ბესოშვილი
15. რუხაძე არჩილ

**ს ა მ დ ი ვ ნ ო შ ი:**

1. ბერაძე ვლადიმერ,
2. ჭორქია როდიონ,
3. ჭყონია აკაკი,
4. თოფაძე კონსტ.,
5. გომართელი შალვა.

დღევანდელი კრებისათვის, ამბობს ამხ. ფარნიევი, საჭიროა რეგლამენტი, რომლითაც მომხსენებელს მიეცემა ერთი საათი, ორატორებს 10 წუთი და 5 წუთი მეორეთ ჩაწერის დროს.

პრეზიდიუმის წინადადებით ფეხზე ადგომით პატივი ეცა საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადს—ლენინს. ასევე ფეხზე ადგომით პატივი ეცა ამ. ი. გიორგაძის და ფ. ქაიხოსროშვილის ხსოვნას. მოხსენებისათვის სიტყვას იღებს ამხ. **ს. ფარნიევი.**

ამხ., ბიურო იყო არჩეული იმ მოსაზრებით, რომ მოემზადებინა ნიადაგი საბჭოთა კავშირში გაერთიანებული ყრილობის მოსაწვევად, ბიურომ გაგზავნა თავის წარმომადგენლები რუსეთში. ჩვენ მოვიარეთ ის ადგილები, სადაც მძლავრი იყო მენშევიზმი, მაგალითად სტამბის გუბებში და ტულის ქარხნებში მაგრამ გამოირკვა, რომ მენშევიკური ორგანიზაციები იქ თავისით დაშლილიყვნენ. დაშლა მოხდა 1918 წელს ყრილობის შემდეგ, სადაც დადგენილი იყო, რომ სოც.-დემ. პარტია არ ებრძვის საბჭოთა სისტემას, პირიქით შეებრძოლება მის მტრებს. სამწუხროთ პარტიის არა მუშური ნაწილი არ ატარებდა ამ დადგენილებას ცხოვრებაში, მაგრამ მუშები ამ დადგენილების შემდეგ თანდათან გაითქვიფენ კომპარტიაში.

ჩვენ შეკითხვაზე—როგორ მოხდა, რომ თქვენ შეუერთდით კომპარტიასო, გვიპასუხენ: ჩვენ მოვსცილდით მენშევიკურ პარტიას მას შემდეგ, რაც ის წავიდა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის იყო ტაქტიკური დავა და მას შემდეგ, რაც საკითხის ეს მხარე ცხოვრებისაგან გადაჭრილი აღმოჩნდა, ჩვენ მათთან სადაო არაფერი გვაქვსო.

იქ მენშევიკურ ცეკას წევრებმაც კი დასტოვეს პარტია. გავიდენ: სემკოვსკი, როჟკოვი და სხვები.

ყველაზე უკან გავიდა მოსკოვის ორგანიზაციის ხელმძღვანელი პლესკოვი. ყველა ესენი თითქმის კომპარტიასთან მუშაობდენ.

იყო მენშევიზმი აგრეთვე უკრაინაში, დონბასში. მენშევიკურ პარტიის ყრილობას იქ 30 კაცის მეტი არ დაესწრო.

სხვა უკვე გასული იყო პარტიიდან, იყო ყრილობა აგრეთვე ლენინგრადშიაც. ყველგან პატარ-პატარა კონფერენციები მოხდა, მაგრამ ყრილობა მთელი კავშირის მასშტაბით ზედმეტი აღმოჩნდა. ჩვენ ვეკითხებოდით მენშევიკურ ცეკას წევრებს: მიიღებთ თუ არა მონაწილეობას ყრილობაზეო.

გვიპასუხებდენ, უმრავლესობა პარტის წევრებისა გასულია უკვე პარტიის რიგებიდან, ამჟამათ ისინი კომპარტიის წევრები არიან, მათი მოწვევა კი რაღა საჭიროაო.

გარდა ამისა, ჩვენ გვქონდა საინციატივო ბიუროს ორგანო „მოამბე“, რომელიც შემდეგ გადაკეთდა „სიმართლის ხმათ“.

ჩვენი ბიურო დღეს სწყვეტს თავის მუშაობას. ბიურომ თავისი საქმე გააკეთა და აწი მისი არსებობა აღარაა საჭირო. გარეშე მაყურებელი იფიქრებს, ბიურო რომ დარჩეს, ალბათ „მათ“ კომუნისტებთან კიდევ აქვთ რაღაცა სადავოო. ეს სააგიტაციო მასალათ იქნება გამოყენებული ჩვენი მოწინააღმდეგის მიერ, რომელიც მერყევ ელემენტებში გამოიწვევს ჩვენს წინააღდეგ გაღიზიანებას. გარდა ამისა ჩვენ ფაქტიურათ გაერთიანებული ვართ კომუნისტურ ოჯახში, მათთან არა გვაქვს რა სადავო. ამიტომ ლოღიკურია ჩვენი ბიუროს დაშლა.

პატივცემული ამხ. სეითი ჩვენ გვისაყვედურებდა, რომ როგორც არალეგალური ცეკა, ისე „სიმართლის ხმა“ კმაყოფილდებიან ერთმანეთის უკმეხი სიტყვებით მოგერებით და საკითხს არ აღრმავებენო.

ჩვენ თეორეტიკოსები არა ვართ, ჩვენ მუშები ვართ, მუშურათ ვუდგებით საკითხს, ჟორდანია და კაუცკი რომ გვყავდეს, ასეთი წერილები და მოხსენებები იქნებოდა, მაგრამ ისინი ჩვენ დაგვშორდა და დღეს საკუთარი ძალებით ვიკაფავთ გზას.

ამხ. სეითი გვისაყვედურებდა აგრეთვე, თქვენ ვერ შემოკრებთ თქვენს გარშემო მასას, ის დაგეფანტებათო; სიამოვნებით უნდა განვაცხადო, რომ ოციოდე ამხანაგების მეტმა არ გაამართლა სეითის იჭვი, მაგრამ ეხლა ვნახოთ „იქიდან“ რამდენი გადმოვიდა? „იქიდან“ ასჯერ მეტი და კიდევ მეტიც გადმოვიდა ჩვენსკენ. გადმოვიდენ ჩვენსკენ გამოჩენილი ამხანაგები, როგორიც იყო ამხ. გიორგაძე. ასეთ მაგალითს კი ჩვენს რიგებში ადგილი არა ქონია. მე დავასახელებდი სათითაოდ ასეთ ამხანაგებს, მაგრამ არაა საჭირო. ასე რომ, სეითის იჭვი ჩვენდა სასიხარულოთ არ გამართლდა.

თვით ს. დევდარიანიც მართალია გარკვეულათ ვერ ამბობს ყველაფერს, მაგრამ ის ამბობს, რომ მე II ინტერნაციონალმა ჯერ კიდევ **1914** წელში დახარა სოციალიზმის დროშა ძირს და გადაიქცა ნაციონალიზმის ორგანიზაციათო.

აი თვით ის კაციც კი, რომელიც მენშევიზმის სულის ჩამდგმელი იყო, ისიც დღეს ჩვენთან არის. ის ამბობს მე II ინტერნაციონალი მიდის გაბატონებულ წრეებთან და იქ სოციალიზმის ნასახიც კი არ არისო. საბჭოთა სისტემის გარეშე სხვა რომელიმე ხელისუფლება საქართველოში ველარ შესძლებს უბრალო წესრიგის აღდგენასაც კი. დაახლოვებით ასე მსჯელობს მეორე ჩვენი ყოფილი ლიდერი გრ. ლორთქიფანიძე.—რუსეთში არსებული წყობილების გამოცვლა იქნებოდა რეაქციის გამეფება. გრ. ლორთქიფანიძე ჩვენ გვირჩევს დავრჩეთ ჩვენს პოზიციებზე და ვაწარმოვოთ ოპოზიცია.

ამას გვეუბნება ის ადამიანი, რომელიც ს. დევდარიანზე მემარჯვენე იყო ერთ დროს და დღესაც ასეთი უნდა იყვეს.

თქვენ იცით როგორ დაafasa ჩვენი ყრილობა ჟორდანიამ. ის გვეუბნება: თქვენ ბრმები ხართ, თქვენ მოტყუებული ხართ, ვერ ხედავთ, რომ მუშათა კლასი უფრო დაჩაგრულიაო—გვეუბნება ისევე დაბრუნდით ან და მოშორდით პოლიტიკას და განზე გადექითო.

კაცი, რომელიც ყოველთვის იძახოდა ბრძოლა და მხოლოდ ბრძოლაო, დღეს იძახის განზე გადექითო. ისე, როგორც პ. გელეიშვილი, ბ. თევზაია, და მუშებში ამხ. მიშა ძამანაშვილი და სხვები.

ასე არასოდეს არ ამბობდა მარქსი და ენგელსი. ისინი ყოველთვის ბრძოლისაკენ მოგვიწოდებდენ.

ბენია ჩხიკვიშვილის შესახებ არალეგალური ცეკა სწერს ერთ თავის ფურცელში, რომ ის თითქოს სამშობლოში დასასვენებლათ ჩამოსულიყოს და ბოლშევიკებმა მაინც არ დაინდეს— ჩეკის სარდაფში ჩაკეტესო? ვინ უნდა დაიჯეროს ეს. განა ბენიას, რომელიც ერთ დროს ჰქმნიდა მენშევიკურ პარტიის პოლიტიკას და ხაზს საქართველოში, მენშევიკური ემიგრაცია და მეორე ინტერნაციონალი საქართველოში სააგარაკოთ გამოუშვებდა? ვინ, რომელი გულუბრყვილო წამოეგება ასეთ ანკესზე! ან თუ აგრე იყო, რატომ ბენიამ ჩამოსვლისთანავე არ განაცხადა ამის შესახებ.

დაახლოვებით ასეთივე იყო საქმის ვითარება, როცა მოკლეს ამხ. ი. გიორგაძე. ცეკამ ეს ჩეკის საქმეთ გამოაცხადა, მაგრამ შემდეგ ლომინაძის წერილებმა, რომელიც იღებდა მონაწილეობას არალეგალურ ცეკას სამხედრო ორგანიზაციებში, ყველაფერს ფარდა ახადა.

ყველაფერზე იტყვი უარს, მაგრამ თვით ნოე ჟორდანიას წიგნი, „ჩვენ და ისინი“ აშკარათ ამბობს, რომ აჯანყებით უნდა მოვსპოთ საბჭოთა წყობილება და ისევ დემოკრატიული სახელმწიფო დავაფუძნოთო. აჯანყება მათთვის საჭირო იყო იმისათვის, რომ ევროპის საზოგადოებრივ აზრზე მოეხდინათ გავლენა.

განა ბენია ჩხიკვიშვილს, რომ გეგმა უპოვეს, ის არ იყო მიმართული იქით, რომ დაეცა საბჭოთა სისტემის პრესტიჟი.

არალეგალური ცეკა კი ერთხელ კიდევ აცხადებს ჩვენ აჯანყების მომხრე არა ვართო.

ეს მას შემდეგ, რაც მშრომელ ხალხს შეატყვეს, რომ ის აჯანყების მომხრე არ იყო.

ჩვენი გზა, ამხანაგებო, ძნელია, ძნელია ატანა იმ ლანძღვა-გინების და ჭორების, რომელსაც ჩვენსკენ ისვრიან, მაგრამ როდესაც კაცი მართალია, როდესაც ის თავის გზის სისწორეს გრძნობს, მისთვის მძიმე გზაზე გავლაც არ არის ტანჯვა.

დღეს ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ მენშევიკურ პარტიას არავინ არ მისდევს. მისდევს მას ყველა ნაწყენი ელემენტები.

ვინ არიან ისინი?

თქვენ ამხანაგებო გახსოვთ ბებელის სიტყვები, პარტიას უნდა უფრთხილდეთ ისე, როგორც საკუთარ კბილებსო.

ე. ი. პარტია უნდა იყოს წმინდა, კრისტალური, გაწმენდილი ყოველგვარ მერყევი ელემენტებისგანო.

ეს არ იყო ჩვენს პარტიაში. ჩვენი პარტია ხშირად სხვის, არამუშურ საქმეს აკეთებდა. ვეშაპელიც იტყოდა.

„ჩვენ საქმეს თქვენ აკეთებთო:„

სეით დევდარიანი ამბობს ბევრს, მაგრამ ამბობს გაუგებრათ. ზოგიერთი ამხანაგები შემეკითხებიან სად არის სეითიო? ვის ემხრობაო. მართალია, ამხანაგებო, ის არ ხსნის გარკვევით თავის გზას, მაგრამ გარკვევით ნოე რამიშვილი ამბობს სამაგიეროთ, ის ამბობს: სანამ არიან ბოლშევიკები, სანამ არიან საბჭოები, უნდა ვიბრძოლოთ.

მართალია ის არ არის რევოლიუციონერი, მაგრამ ის ყველაფერს პირდაპირ ამბობს.

ნოე ჟორდანია სწერს თავის წიგნში, გარიბალდი იბრძოდა თავის ერის განთავისუფლებისათვისო, ის რევოლიუციონერიაო, ჩოლოყაშვილიც იბრძვის ეროვნულ საქმისათვის და ამიტომ ჩოლოყაშვილიც რევოლიუციონერიაო.

ეხლა მან ბენია ჩხიკვიშვილი გამოგზავნა ამ „რევოლიუციონურ“ საქმეების გასაგრძელებლათ. როდის გვასწავლა ნოე ჟორდანიამ, რომ მუშების წინააღმდეგ ბრძოლა რევოლიუციონერების საქმეაო.—

წინათ ეს მას ჩვენთვის არ უთქვამს.

ალბათ ეხლა ამ ახალი გზით ჩქარა მიგვიყვანს „სოციალიზმამდის“.

გარიბალდი ებრძოდა ავსტრიელების ჩაგვრას იტალიაში, ის ნაპოლეონ მესამის ტირანიის მიერ გამაგრებულ პაპის ოლქის დაპყრობას და იტალიის გაერთიანებას ემსახურებოდა. მისი ხელი არ აწეულა მუშათა და გლეხთა მთავრობის წინააღმდეგ, რადგან ასეთი მაშინ არც არსებობდა.

ვის გასაერთიანებლათ, ვის გასანთავისუფლებლათ იბრძვის ჩოლოყაშვილი საქართველოში. ის ჩოლოყაშვილი, რომელიც ქეიფისა და ლოთობისათვის თავის დროზე მენშევიკურ მთავრობამაც კი გააძევა ჯარიდან. ვის საქმეს გააკეთებს ქაქუჩა ჩოლოყაშვილი, რომ გაიმარჯვოს მისმა ზრახვებმა. როდის შემდეგ იწამა ნ. ჟორდანიამ მისი რევოლიუციონერობა? ნუ თუ ეს გარიბალდის დიდი სახელის შელანძღვა არაა, როცა ლოთს, ზნედაცემულ, რეაქციის მსახურ ნიკოლოზის დროინდელ ოფიცერს, მის სახელს ადარებს.

ამხანაგებო, ჩვენ ჩოლოყაშვილი სოციალიზმამდე ვერ მიგვიყვანს!

აი, აგერ ვალიკო ჯუღელი ჩამოვიდა, ორი რევოლვერიც ჩამოიტანა თან, რომ „დაიხსნას“ ერი, მაგრამ... არ უშველა ორმა რევოლვერმა. ჩვენ თავის დროზე ზარბაზნებიც კი ქონდა, მაგრამ რა გამოვიდა? არა, ამხანაგებო, დღეს ისინი დამალვასაც ვერ ახერხებენ იმიტომ, რომ მასები ჩამოშორდენ.

ვინ დარჩა ახლა იქ? ნოე ამბობს, დღეს უმთავრესი ეროვნული საკითხიაო, ყველაფერი მას უნდა ენაცვალოსო. უნდა განვითარდეს ალებ-მიცემობა, ბურჟუაზია, უნდა დაგროვდეს

სიმდიდრე და მერე იქნება სოციალიზმიო. ჩვენ, ამხანაგებო, სამი წელიწადი ვებმარებოდით ამ ბურჟუაზიას, მაგრამ ვერას. გავხდით საქართველოში არა აქვს ნიადაგი ეროვნულ ბურჟუაზიას. ვერაფერი გააკეთა მან.

ის უძლურია ახალ ცხოვრების გამოჭედვაში, როგორც კლასი. ეს უნდა გავიგოთ და მაშინ გავიგებთ ნოეს შეცდომას.

ჩვენ ვერ დავემგზავსეთ ბიქტორ თევზაიას და პეტრე გელეიშვილს, რომელთაც ხელი დაიბანეს ორ ქვეყანათა ჭიდილში და განზე გადგენ. ან უნდა ავაშენოთ, ან უნდა დავანგრიოთ. მესამე გზა რევოლიუციონერთათვის არ არის. და ჩვენ ვაშენებთ, ამხანაგებო. ეს არის ჩვენი რევოლუციონური მოვალეობა. რა დაგვრჩა სხვაგან? ისინი იძახიან—ჯერ სოციალიზმი შორს არის, ბურჟუაზია უნდა ავაყვავოთო.

მაგრამ მათ არ გაყვება მშრომელი ხალხი, ის სხვა გზით წავიდა და ეს გზა სწორია.

მეორე ისაა, ამხანაგებო, რომ სეითი უთვლის ჟორდანიას,—თუ შენ ხარ მშრომელი ხალხის დამცველი, მოდი ამ ხალხთან და იმუშავე, ნუ მოსწყდები მასო. ჟორდანია კი ლოცავს ჩოლოყაშვილს. ის ამით მოსწყდა ჩვენ მშრომელ ხალხს. სეითმა კი სთქვა, თუ დამტკიცდა ჩვენი პარტიის კავშირი ჩოლოყაშვილის ბანდიტებთან, ის პარტია უნდა დაიშალოსო. დღეს ეს კავშირი ფაქტია, მაგრამ ნოე ცდილობს პარტია არ დაშალოს. ჟორდანია ამბობს მიზნის მისაღწევად ყველასთან შეიძლება კავშირიო. ამას ბებელიც ამბობდა, მან სთქვა: ეშმაკის მამიდასთანაც უნდა დაიკავო კავშირი გამარჯვების მოსაპოებლათო, მაგრამ ბებელს არასდროს არ უთქვამს: თუ ძალაუფლება მუშათა კლასმა ჩაიგდო ხელში, ეშმაკთან უნდა შეკრა კავშირი მის დასამარცხებლათო.

აი მოკლეთ, რაც მე მინდოდა თქვენთვის ინფორმაციის სახით მომეხსენებია.

(ტაში.)

**შ ე კ ი თ ხ ვ ე ბ ი:**

**ლომთათიძე**—საორგანიზაციო მუშაობა არ არის დათავებული და ჟურნალის შეწყვეტის და კომისიის მუშაობას შემდეგ ვინ უხელმძღვანელებს ამ მუშაობას.

**დავითიანი.**—რამდენი კაცი ჩაება საბჭოთა აღმშენებლობის მუშაობაში—

**მარგიევი.** სეითის წერილებში რა უფრო ლაპარაკობს, თავმოყვარეობა თუ თეორიული მოსაზრება.

**მაისურაძე**— რამდენი ამხანაგი შევიდა კომპარტიაში.

ამხანაგ **ფარნიევი** უპასუხებს: პარტიაში ბევრია მიღებული. მართალია ბევრი ნაწყენია, რომ პარტიაში არ არის მიღებული, მაგრამ შარშან ბევრი ამხანაგები ასე სვამდენ საკითხს: იქნება მე არ მინდა პარტიაში, შესვლაო.

ჩვენი ძველი-პარტიის კარები ყველასთვის ღია იყო. დღეს ასე არ არის. დღეს გაუწმენდავათ პარტიაში შესვლა შეუძლებელია. განა თქვენ მომხრე იქნებით, რომ ყველა პარტიაში მიიღონ? დარწმუნებული ვარ, რომ არა.

პარტიას აქვს წესდება, რომელშიდაც წერია: სხვა პარტიიდან გამოსულებმა უნდა გაიარონ სტაჟი—კანდიდატობა ექვსი თვე, წელიწადი და ორი წელიწადი.

ჩვენი და ბოლშევიკების განსხვავება სწორედ იმაში იყო, თუ ვინ უნდა იყოს მიღებული პარტიაში, რომელიც შემდეგ პრინციპიალურ განსხვავებათ ჩამოყალიბდა.

მიუხედავათ ყველა ამ დაბრკოლებისა, პარტიაში ამ ერთი წლის განმავლობაში მაინც დიდი პროცენტი შევიდა.—

ეხლა მეორე შეკითხვაზე—რამდენი ამხანაგი ჩაება მუშაობაშიო; მე არ ვიცი მათი რიცხვი დანამდვილებით, მაგრამ ცხადია, რომ ვისაც აქვს ცოდნა და გამოცდილება—ყველა ამ ცოდნის და გამოცდილების მიხედვით მუშაობს დღეს საბჭოთა აღმშენებლობის სასარგებლოთ.

სეით დევდარიანის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ მან გაუკეთა ანალიზი მდგომარეობას და თქვა, რომ მეორე ინტერნაციონალი მოკვდა.

მან დათვური სამსახური გაუწია საქართველოს, მან ვერ აამოძრავა ჩუშები სოციალიზმის სასარგებლო ბრძოლისათვისო. თვენქ იცით რა სთქვა პლეხანოვმა: მიუხედავათ იმისა, რომ მე ბოლშევიზმის წინააღმდეგი ვარ, არც მე და არც სხვას ურჩევ მათ წინააღმდეგ გალაშქრებასო. ასე სთქვა მან:

სეით დევდარიანმაც განაცხადა, რომ ყველა მარქსისტი ბოლშევიკებთან უნდა იყოსო და მე ვფიქრობ ამით მან გვითხრა თავისი აზრი. ეს ჩვენთვის საკმარისი უნდა იყვეს, რომ გავიგოთ მისი შეხედულება და პოზიცია.

ლომთათიძის შეკითხვაზე უნდა ვუპასუხო, რომ ბიურო, როგორც ასეთი დღეის შემდეგ ჩვენი აზრით ზედმეტია. რაც შეეხება ბექვვიდითი ორგანოს, ამის შესახებ თათბირს შეუძლია თავის აზრი და დასკვნა გამოიტანოს.

**თავმჯდომარე:** კითხულობს წერილობით განცხადებას, სადაც მოითხოვენ სეით დევდარიანისაგან გადაჭრილ და გარკვეულ პასუხს. შევიდოდა თუ არა ის კომპარტიაში და თუ არა, რა მოსაზრებით და სხვა.

**ფარნიევი** ამხ., თქვენ გაიგონებდით გალილეის ამბავს, ის ამბობდა: დედამიწა ბრუნავსო.

მას უთხრეს: სთქვი, არ ბრუნავსო.

ეს იყო ძალადობა.

ილარიონ გიორგაძე მოჰკლეს პარტიიდან გასვლისათვის.

ეს ზედმიწევნით ძალადობაა.

რა უფლება გვაქვს ჩვენ დავაძალოთ დევდარიანს შევიდეს კომუნისტურ პარტიაში.

სეით დევდარიანი თავისებურად აზროვნებს, მაგრამ მუშათა სახელმწიფოში არის საშვალება კაცმა სთქვა: „დედამიწა ბრუნავს"-ო და მისთვის მას არ დახვრეტავენ.

განცხადების ავტორი ძალმომრეობის მომხრეა. თათბირი მას მხარს, რა თქმა უნდა, ვერ დაუჭერს.

მოხსენების და შეკითხვების დასრულების შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. დავითიანს

**დავითიანი:** ერთი წელია, რაც თელავში გვიხდება მუშაობა. ჩვენ შევძელით ამ წლის განმავლობაში ჩაგვეთრია მუშაობაში ისინი, ვინც ჩამოშორდა პარტიას. გარდა ამისა, თამამად უნდა ვთქვა, ჩვენს მუშაობას, რომ არ ქონდა ადგილი, კახეთში, როგორც ჩამორჩენილ კუთხეში, ჩოლაყაშვილი შესძლებდა საშინელების დატრიალებას.

გარდა ამისა ჟურნალი დღემდე აერთებდა კომპარტიასთან ჩვენ რიგებს და ყველა იმათ, ვინც მერყეობს, ამიტომ ჩემი აზრია ჟურნალი უნდა დარჩეს. ცეკამ კი მისწეროს ადგილობრივ პარტკომებს დაიცვან და გაატარონ კომპარტიის მე-13-ტე ყრილობის დადგენილებანი ყოფილი მენშევიკების შესახებ.

**ვ. მაისურაძე ტურა** ამხანაგებო! ჩვენ მოვალენი ვართ წარმოვადგინოთ ჩვენი ანგარიშები.

ჩვენ აქტიურ მუშაობას ვაწარმოებდით გარე—კახეთში. 400 წევრი უკვე ჩამოშორდა მენშ. პარტიას—ჩვენი ამხანაგების მუშაობაში ჩაბმის შემდეგ უფრო კარგათ მოეწყო იმ მხარის აღმშენებლობა.

მე მომხრე ვარ ჟურნალის გაგრძელების, რომელსაც მხურვალეთ ეწაფება გლეხობა.

**ვასო მახარაძე:** (ფოთი) ამხანაგებო! ერთი წლის ანგარიშის წარმოსადგენათ არც დრო მაქვს და არც არის საჭირო. მართალია ფოთში გამოჩნდა ორი კაცი, რომელმაც ხელი მოაწერა და ისევე ჩაერია მუშაობაში, მაგრამ ჩვენი ფხიზელი საქმიანობით მოხდა ამ ორი არამზადის აღმოჩენა.

უნდა იცოდეთ, ამხანაგებო, რომ ეს ვაჟბატონები იყვნენ სპირტის გამყიდველები, ვაჭრები და არა ჩვენი ნამდვილი ამხანაგები, არა ნამდვილი მუშები.

**კ. გოგიბერიძე:** მართალია ზოგიერთებმა ხელი მოაწერეს და შემდეგ ისევე დაიწყეს არალეგალური მუშაობა, მაგრამ ეს იყო გამონაკლისები.

სხვათა შორის, ამხანაგებო, აქ სთქვეს აღარ გავაგრძელოთ მუშაობა კომისიის სახითო, მაგრამ გურიაში მხოლოდ ეხლა დაარსდა ეს კომისია და იქ კიდევ საჭიროა ხანგრძლივი მუშაობა.

ბათომის სინამდვილეში, ვინც დაადგა ჩვენს გზას, დღემდე ჩვენთან არიან სრულიად გულწრფელად.

ჩვენ აუცილებლად უნდა გავიმიჯნოთ მერყევ ელეგენტებიდან და ფანატიკოსებიდან. პერიფერიებში ამ მდგომარეობას აქვს ადგილი და ამისათვის მე მოვითხოვ გაგრძელდეს ჟურნალის გამოცემა.

**კვინიკაძე** (ხაშური) ნოე ჟორდანიას წერილმა ჩვენ, მუშები შეგვაფიქრიანა. სულ არ გვჯეროდა, რომ ნოე ჟორდანია ასეთ წერილს გამოგზავნიდა.

მივიწვიეთ ფარნიევი, და, როცა დავრწმუნდით იმაში, რომ ნოე ჟორდანია ასეთ ყალბ გზაზე შემდგარა, ჩვენ მეტი სიმტკიცით დავადექით ამ ახალ გზაზე.

**ძამანაშვილი;** ამხ. ფარნიევმა გააკეთა მოხსენება მთელი წლის მუშაობის შესახებ. არც ერთი ამხანაგი არ შეხებია ჯერ ფარნიევის მოხსენებას არსებითად, ამან მაიძულა მე მელაპარაკნა. მოხსე ნება იყო ერთნაირი ინფორმაცია და ამ მოხსენებაში მან ილაპარაკა ნოეზე, სეითზე-თვითონ არ გვითხრა რა.

1922 წ. ციხეში გვეუბნებოდენ—აი გაგათავისუფლებენო. როცა შევეკითხე—ვინ მეთქი, მიპასუხეს-ჩოლაყაშვილი გაგვანთავისუფლებსო. ჩოლოყაშვილი პატარა კაცია, ის დღეს გააზვიადეს და დიდ კაცათ გახადეს. მაგრამ მე მგონია ან გაზვიადებასთან ერთად აქ ყველა-

ფერი არ თქმულა აი აქ, პროვინციიდან სთქვეს, ხალხი „სიმართლის ხმა“-ს ეტანებოდა და ჯერ კიდევ ვერ შემოგიკრებიათ ის ხალხიო. რას ნიშნავს ეს; იქნებ სუსტი იყო ბიურო (ხმა ადგილიდან)—შენ სად იყავი? რატომ არ მუშაობ)? აი აქ, სეითზე უცნაური განცხადება შემოიტანეს, ეს რას ნიშნავს? რათ უნდა მოესპოს სეითს საშუალება ლაპარაკის?. განა ის არ ახდენს გავლენას ხალხზე.

გარდა ამისა, გადასახლებულნი უნდა დაბრუნდენ უკან. ვიზრუნოთ ამაზე. უნდა გავანთავისუფლოთ ეს ამხანაგები, მაშინ გამოეცლება ნიადაგი ჩვენ წინააღმდეგ აგიტაციას და მაკდონალდს ორ გადასახლებულს ასათ არ მოაჩვენებენ.

არ უნდა გვეშინოდეს იმისი, რომ ისინი დაიწყებენ მუშაობას. ამისათვის არის სათანადო ორგანო და ის კარგათაც არის მოწყობილი.

მე გისურვებთ თქვენ გამარჯვებას და... (ხმები: შენ, შენ რას იზამ?)

— მე? ახლავე გეტყვით. მე ციხეშივე განვაცხადე—II ინტერნაციონალი მოკვდა. მე ვუჭერ მხარს საბჭოთა სისტემას. მე ვდგევარ III ინტერნაციონალის დროშის ქვეშ და მუშათა კლასი მხოლოთ მისი დროშის ქვეშ გაიმარჯვებს.

გისურვებთ კიდევ გამარჯვებას, მარქსიზმის დაცვას.. საამაყო მოვლენაა, რომ ლიდერები უკან მოგსდევენ. თქვენ გაიმარჯვებთ.

გაუმარჯოს მუშათა კლასის მთლიანობას. ძირს ისინი, ვისაც შეაქვს მუშათა მასებში ანტაგონიზმი, გაუმარჯოს III ინტერნაციონალს.

**ბაბლიძე** (ხაშური)—ამხანაგებო, მე ვემდურებოდი ამხ. კომუნისტებს, მაგრამ შემდეგ შევეკითხე თავს: სად მიგვიყვანს ეს მუშაობა.

მე ვფიქრობდი, რომ ოდესმე მოხდებოდა ჩვენი ხელ-ახალი გაერთიანება.

ჩვენ გისაყვედურებენ სამშობლოს ღალატს, მაგრამ ისინი არიან მოღალატენი, ვინც ამას გვისაყვედურებს. თუ ვინმემ ხელი მოაწერა და შემდეგ ისევე გაგვშორდა, იმან ჩვენ კი არა, თავისი თავი მოატყუა.

თუ ვინმე ამბობს კომპარტიაში ნაკლი არისო, ეს მართალია ამხანაგებო, მუშები თქვენ ხართ, მობრძანდით და გამოასწორეთ ეს დეფექტები, ჩაებით მუშაობაში.

მე გადამასახლეს რუსეთში, მაგრამ ამაში კომპარტიას კი არ ვამტყუნებ, არამედ ჩემ თავს. ალბათ ჩემმა თავმა ვერ შეიგნო დროზე, რომ ვცდებოდი და ამიტომ იყო ჩემი გადასახლება. მართალია მე მოხუცი სოციალისტი ვარ, მაგრამ წარმოიდგინეთ, მეც შემცდარი ვიყავი.

ამხ. ძამანაშვილმა მოითხოვა გადასახლებულების დაბრუნება.—მე იქიდან რომ გამოვდიოდი სადგურზედაც არავინ გამომყვა, ბოიკოტიც გამომიცხადეს.

რა საჭიროა ამხ., იმათი ჩვენ მიერ განთავისუფლება, ყოველ მათგანს ჯიბეში აქვს ციხის გასაღები. როცა უნდათ მაშინ გააღებენ და გამოვლენ.

ვინც არის მართლა სოციალისტი, მობრძანდეს და აკეთოს სოციალისტური საქმე, ხოლო კადეტებისათვის ჩვენს რიგებში ადგილი არ არის.

გაუმარჯოს სოციალიზმს!

გა უმარჯოს ყველა ამ სოფელში გულწრფელ მომუშავეთ?

(ტაში)

შემოდის წინადადება სიგვიანის გამო კამათის შეწყვეტის და თათბირის სხდომის მეორე დღისთვის გადადების შესახებ. კრება იღებს ამ წინადადებას და შემდეგი სხდომა ინიშნება მეორე დღეს, სამშაბათს 26 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე.

## 26 აგვისტოს სხდომა.

სიტყვა ეძლევა

**ხარატიშვილს.** მე მინდა სალამი უძღვნა საინციატივო ბიუროს, რომელმაც შესძლო დღევანდელი კრების მოწვევა. შარშანდელი ყრილობის დადგენილებანი ბიურომ ცხოვრებაში გაატარა. მან შესძლო მრავალ დატუსაღებულ ამხანაგების განთავისუფლება და ერთ ნაწილ გადასახლებულებულთა დაბრუნება.

ამხ. ფარნიევმა გუშინ სთქვა; ვითომ ჩვენ უკვე მუშაობა დავამთავრეთო.

ამას მე არ ვეთანხმები. მართალია თბილისში შეიძლება ბევრია გაკეთებული, პროვინციაში კი საქმე ასე არ ყოფილა. ჩემის აზრით საჭიროა კვლავაც მუშაობა. ერთი წელიწადით მაინც საჭიროა ჟურნალის არსებობა.

ამხ. ძამანაშვილი სწორეთ ვერ მიუდგა კითხვას.

მას უნდა ეკითხა, შესძლო თუ ვერა ბიურომ გაკეთება იმის, რაც ჰქონდა დავალებული.

ჩვენ უნდა ვიკითხოთ, შემოგვემატა თუ არა ამ გზაზე ახალი ძალები?

თქვენ იცით, რომ არალეგალურ ცეკის თავჯდომარე, ამხ. სეით დევდარიანი, გადმოვიდა ჩვენს მხარეზე. ეს დიდი გამარჯვებაა.

შემდეგ 5.000 ახ. მარქსისტი გადმოვიდა ჩვენ მხარეზე.

არ არის ეს გამარჯვება?

ესეც დიდი გამარჯვებაა.

თქვენ აქ ნახავთ ბევრ ისეთებს, რომელიც შარშან არ იყო ჩვენთან. დღეს ისინი აქ არიან.

**რუხაძე** შარშან, ამხანაგებო, არალეგალური ცეკა კონფერენციას მართავდა, მას თავჯდომარეობს გიორგაძე ილარიონხი.

ის ჩვენს წინააღმდეგ მუშაობდა, მაგრამ, რა დაინახა ჩვენი სისწორე, მოვიდა ჩვენთან.

ესეც გამარჯვებაა ჩვენი.

ამხ. ძამანაშვილი იძახის, თქვენი გზა სწორიაო.

მაგრამ მაინც განზე ვარო.

რატომ?

ის ამაზე პასუხს ვერ იძლევა.

შარშან ამხ. ძამანაშვილი ვერ იტყოდა იმას, რასაც დღეს ამბობს. ალბათ ეს ერთი წლის მუშაობა 17,000 ამხანაგის არ ყოფილა ფუჭი.

თუ მან სთქვა, თქვენი გზა სწორიაო, ისეც ჩვენი გამარჯვება არის.

ეხლა ბიუროს შესახებ.

აქ ამბობდენ პატიმრების შესახებ. ამხ. ბაბლიძემ გუშინ სწორედ სთქვა: თვითეულ პატიმარს ციხის გასაღები ჯიბეზე აქვსო.

თუ ჯერ კიდევ გაჯიუტებული ამხანაგები მოვლენ ჩვენს ხაზთან, მათ ისედაც გამოუშვებდენ.

**სიხარულიძე.** ამხანაგებო! მე მინდა რამდენიმე საკითხის ირგვლივ ვილაპარაკო—ეს არის ორგანოს შესახებ. არის თუ არა საჭირო ორგანოს არსებობა, როცა ამ საკითხს ვსვამთ უნდა გავიცნოთ ყრილობის დირექტივები, რომელიც გვავალებდა, რომ ჩვენ მასში გაგვეწია აგიტაცია და მოგვეწვია საკავშირო ყრილობა. როგორც გუშინ გითხრათ ამხ. ფარნიევმა, აღარ გამოდგა საჭირო საკავშირო ყრილობის მოწვევა, რადგან რუსეთში თითქმის აღარ ყოფილა მენშევიკები, ისინი დიდი ხანია კომპარტიაში შესულან, ამიტომ ჩემის აზრით დავალებები შესრულებულია. ვისაც გონზე მოსვლა შეეძლო, უკვე ჩვენთან არის და ამის შემდეგ კიდევ ბეჭდვითი ორგანოს შენარჩუნება ზედმეტი იქნებოდა.

აქ ერთმა ამხ. სთქვა, ვითომ ამხ. ს. ფარნიევი გადასახლებულებს ეფერინათ, ეს არ არის მართალი. იქ მე და კ. შენგელია ვიყავით და არა სანდრო. და ძოგახსენებთ სრულიად თამამად, რომ არავითარი ასეთი არ ყოფილა: პირიქით,. ძალიან კარგათ მოგვექცნენ. ჩვენ იმათ გაუკეთეთ ინფორმაცია, ჩაუტანეთ მასალები კონფერენციის შესახებ. ვერც ერთი მათგანი ვერ გამოვიდა წინაღმდეგ. მათ გვითხრეს, მოვიფიქრებთ და შემდეგ ისე მოვიქცევით, როგორც სინდისი გვიკარნახებსო.

ჩემი დაკვირვებით ისინი სრულიად ჩამორჩენილი არიან პოლიტიკას, ფიქრობენ მხოლოდ თავიანთ პირად საქმეებზე და მხოლოდ საქართველოს და ერს გაიძახიან. ჩვენ მათ დავუმტკიცეთ და მოვაგონეთ ჩვენი ძველი ტაქტიკა ერის საკითხში.

როცა თბილისში ჩამოვედი, უკვე მზად დამხვდა მთელი გუდა სავსე ჭორებით ჩემ მოგზაურობის შესახაბ გადასახლებულთა შორის. ამან ერთხელ კიდევ დამარწმუნა, რამდენად დაჰკარგა ყოფილმა ამხანაგებმა ყოველივე კავშირი პარტიის ძველ ტრადიციებთან და რევოლიუციონურ პასუხისმგებლობის შეგნებასთან.

**ლუკაშევიჩი.** ამხანაგებო! ჩვენ ანალიზს უკეთებთ ერთი წლის მუშაობას და ვამაყობთ, რადგან ჩვენი გზა სწორი გამოდგა—ჩვენ მუშებმა შევძელით 25 აგვისტოს შექმნა.

მუშებმა გამონახეს თავისი გზა და თუ მოწინაღმდეგეებში არიან მუშები გამოდით, ამხანაგებო, და იქნება თქვენივე სიტყვებით გააფანტოს წყვდიადი.

ჩვენმა ერთი წლის მუშაობამ დიდი ნაყოფი გამოიღო.

ჩვენ დღეს ვხარობთ. ვხარობთ, იმიტომრომ ჩვენი გზა არ გამტყუნებულა.

ისინი, ვინც ჩვენში არ ხედავენ გულწრფელობას, ჩვენ ვისურვებდით, რომ თვითონ ყოფილიყვნენ გულწრფელი და შეეგნოთ მდგომარეობის სრული სიმარტივე.

ჟურნალ „სიმართლის ხმით“ ჩვენ გავაკეთეთ დიდი საქმე.

**ამხ. თოფაძე:** დღეს ჩვენ შევიკრიბეთ აქ, რომ გადავხედოთ ჩვენს მუშაობას.

ძამანაშვილმა სთქვა, რომ მე ლიდერობა არ მინდაო. მე არ ვიცი უნდა თუ არა მას ლიდერობა, მაგრამ სჩანს კი, რომ უნდა უნდოდეს. ჩვენ ბევრი გავაკეთეთ.

წლის თავზე, ჩვენი მუშაობა უნდა გამოვაცხადოთ დამთავრებულად, ვინაიდან მენშევი-

კურ პარტიაში ეხლა მხოლოდ ჯიუტები დარჩა და მათთან ჩვენ ვერას გავაწყობთ.

ჟურნალის შესახებაც მე ასე ვფიქრობ. ის უნდა დაიხუროს.

ჩვენი გამარჯვება აშკარაა.

**ცინცაძე**. თქვენ იცით, რომ ახალგაზრდა მარქ. ორგანიზაციები მისდევდა სოციალ-დემოკრატიას. მას შემდეგ, რაც უმრავლესმა ამხანაგებმა გადადგენ დიდი მნიშვნელობის ნაბიჯი და დადგენ საბჭოთა პლატფორმაზე, ჩვენს წინაშეც წამოიჭრა კითხვა ტაქტიკის გადასინჯვის შესახებ.

ჩვენც თქვენსავით დიდი ბრძოლა მოგვიხდა არალეგალურ წრეებთან, მაგრამ გამარჯვება ჩვენ გვხდა წილად.

ისინი, ვინც ჩვენს წინააღმდეგ იყვნენ, დღეს ჩვენთან არიან.

28 ოქტომბერი იყო 25 აგვისტოს გაგრძელება. მე გისურვებთ თქვენ გამარჯვებას.

**გ. მაღნარაძე**: (სენატის ყოფილი წევრი). უმთავრესი საკითხი, რომელიც ჩვენ გვაინტერესებდა, იყო აგრარული კითხვა.

დღეს თქვენ იცით, რომ ეს საკითხი რადიკალურად გადაჭრილია.

თქვენ იცით, რომ მუშათა მდგომარეობაც ისეთია, რომ ოპოზიციას ყოველგვარი ნიადაგი ეცლება. შეიძლება იყოს ეროვნული საკითხში ბრძოლის ლოზუნგი? მე გთხოვთ მითხრათ შეიძლება თუ არა დაუმატოთ რამე იმას, რაც მიიღო და ანხორციელებს კომპარტია ამ მხრივ.

შეიძლება პრაქტიკაში მოიკოჭლებს ეს საქმე, მაგრამ სუსტს გაძლიერება სჭირია და არა ხელის კვრა.

სხვა ლოზუნგი, რომლის გარშემო შესაძლებელი იყო თავის მოყრა მშრომელი-ელემენტების, აღარ დარჩენილა.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენი მუშაობა ჯერ კიდევ გათავებული არ არის.

ამ მხრივ მე ვერ ვეთანხმები ამხ. ფარნიევს.

თუ ჩვენ პრაქტიკულათ დავაყენებთ საკითხს, ჩვენ იმ დასკვნამდის მივალთ, რომ ჟურნალის არსებობა ჯერხანათ აუცილებელია.

თქვენ იცით, რომ კომპარტიის კარები მაგრათ არის ჩაკეტილი. ათასი რომ მივიდეს იქ, ერთეულებს გაუღებენ კარს.

ამიტომ ჩემის აზრით საჭიროა ერთგვარი ორგანო, რომლის გარშემოც ჩვენ თავს მოვიყრით და აზრს გამოვსთქვამთ.

ასეთია ჩვენი ჟურნალი.

**ზ. მედია**. არც ერთ ამხანაგს არ მიუქცევია თქვენი ყურადღება იმ დადებით მხარეზე მუშაობაში, რაც გააკეთა ბიურომ. მე არ ვიზიარებ აზრს, რომ დღესვე მოხდეს ყველაფრის ლიკვიდაცია.

ჩვენ უნდა დავეხმაროთ, ამხანაგებო, ჩვენი პლატფორმის გარშემო შემოკრებაში. ეს არ ხდება უცბათ, ამას დიდი მუშაობა უნდა.

პატარა მაგალითი:

იანვარში ბათუმში იყო სულ 19 ამხანაგი აღრიცხვაზე, ახლა კი 100-ზე მეტი, მაშასადამე ამ ხნის განმავლობაში, რაღაც გაკეთებულა, რაღაც ნაყოფი არის.

ამხ. სანდრო კერძო ბაასში სჩიოდა, ვინმეს რომ რამე დასჭირდება, ჩემთან მოდიანო. მართალი არიან ის ამხანაგები. ჩვენი ამხანაგები იცნობენ მას და მას აწუხებენ.

მაშასადამე კომპარტიასთან შემაერთებელი ხიდი ჯერ კიდევ საჭიროა.

მე ვფიქრობ, რომ საჭიროა ორგანოს დატოვება, მე ვლაპარაკობ ჟურნალის შესახებ. მე ვფიქრობ, რომ ბეჭდვითი ორგანოც საკმარისია.

დროს დანიშვნა არ არის საჭირო.

თვით საქმე დაგვანახვებს როდის იქნება საჭირო მისი დახურვა.

აქ სთქვეს, რომ ყველა ციხეები შემოვიარეთ და თუ ვინმე იყო გამოსაშვები, გამოვიდაო.

ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ ეს საკითხი რთული საკითხია. არიან ამხანაგები, რომელთაც ციხის კედლებში უჭირთ თქმა იმის, რაც ჩვენ ვსთქვით; ამას დრო უნდა, მოფიქრება.

ჩვენ ეხლაც უნდა ვსცადოთ, მივიდეთ მათთან და არ შეუშინდეთ ლანძღვა გინებას.

დასასრულ ჟურნალის შესახებ კიდევ უნდა ვთქვა, რომ მომავალში ჩვენ მეტი ხალისით უნდა შეუწყოთ მას ხელი.

**ამხ. გაგლოევი**: მე არ მითხოვია სიტყვა, ამხ. ფარნიევმა გამომიწვია, ვუპასუხებ, მე პირველი გამოვედი პარტიიდან, მე პრაქტიკულათ დავსვი საკითხი—ვის ვებრძვი მე არალეგალურ ცეკას დირექტივებით? და დავინახე, რომ მე დათვის სამსახურს ვუწევ ჩემს კლასს. დავინახე და დავშორდი პარტიას.

მეორე ისაა, ამხანაგებო, რომ ბოლშევიკები და მენშევიკების შეთანხმება გვინდოდა ჩვენ, მუშებს, ბათომიდან დაბრუნებისას, მაგრამ ცენტრალურ კომიტეტმა ამას ვერ გაუწია ან არ გაუწია ანგარიში და ხელმძღვანელობა და მე დავდეგი განზე. ახლა კი მე მგონია, დადგა დრო, როცა საქმით უნდა დავამტკიცოთ ჩვენი მუშური რევოლიუციონერობა. ყველას შეგვიძლია მუშაობა, ზოგს ერთს დარგში, ზოგს მეორე დარგში. არის გულგატეხილი ამხანაგები, ისინი გაგვირბიან, მაგრამ „იმათთან“ არ მივლენ, ჩვენთან მოვლენ ალსანიშნავათ. ინტელიგენციის მდგომარეობა მძიმეა, რომელიც გულგატეხილია და ჩვენი მუშაობის, მიზანია ეს ინტელიგენცია, პოლიტიკურათ ჩამოშორებულ არალეგალურ ცეკასაგან, გამოვიყენოთ, დავიახლოვოთ და გააკეთოს მან, ინტელიგენციამ, ის საქმე, რომელიც შეუძლია. მაშინ ჩვენ გავიმარჯვებთ.

**საქ. კომპარტიის წარმომადგენელ ამხ. მ. კახიანის სიტყვა.**

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ საქ. კომპარტიის ც. კ. სახელით ძმური სალამი გიძღვნათ (ტაში).

თქვენ დღესასწაულობთ პარტიის დაშლის დღეს და არა დაარსების დღეს. რითია ეს გამოწვეული? ჩვენთვის ამ დაშლის დღეს მეტი მნიშვნელობა აქვს, ვინემ დაარსების დღეს. ეს იმიტომ, რომ ჩვენთვის, მუშურ-გლეხურ რევოლუციისათვის, ამას აქვს უაღრესი მნიშვნელობა—ეს პარტია ჩვენ გვიშლიდა ხელს.

დღეს ეს არ არის. ნოე ჟორდანია თავის ბროშურაში „ჩვენ და ისინი“ ამბობს: ჩვენ არ მომკვდარვართ, ჩვენზე ბევრს სწერენ, ჩვენ გვატუსაღებენ, ჩვენ კიდევ ვიარსებებთო. რასაკვირველია, როცა ჩვენ ვამბობთ, რომ მოკვდა მენშევიკური პარტია, ეს იმას არ ნიშნავს რომ ფიზიკურათ მოკვდა ვინმე, როგორც ეს გონია ჟორდანიას. არა, მენშევიკური პარტია მოკვდა, როგორც პოლიტიკური ძალა, როგორც მუშათა ორგანიზაცია.

მის ბროშურას აქვს გასავალი მერყევ ელემენტებში აი, მაგალითად ამხ. ძამანაშვილში. ის სეითურათ მსჯელობს. ის ამბობს: მე არც აქეთ ვარ, არც იქით ვარო კომინტერნის დროშის ქვეშ ვარო და თქვენთან არა ვარო. ეს დომხალია. არ შეიძლება კომინტერნი მივიღო და ვსთქვა, მე არც აქეთ და არც იქით ვარო. ეს იმის მომასწავებელია, რომ აქა იქ საქართველოს მენშევიკებს კიდევ შერჩენია ზოგი მუშა. ძამანაშვილი ამბობს, ჩვენი პირტია არ ჰგავდა რუსეთის მენშევიკებსო, ჩვენი პარტია უახლოვდება კომუნისტებს, რუსეთის კი კადეტებსო. ეს არაა მართალი. ამხანაგებო., დღეს ცხადია, რომ საერთაშორისო მენშევიზმი გაიმიჯნა სოციალურ რევოლუციიდან და სოციალიზმიდან.

მე მაგონდება ამხ. ლენინის განცხადება. ერთხელ ფრ. ადლერმა წერილი გამომიგზავნა ნუ ახლებთ ხელს მენშევიკებსო. ამხ. ლენინმა სთქვა, შემცდარია ადლერი, როცა ამბობს, თითქოს მენშევიკები და ბოლშევიკები ძმები იყვნენო. დღეს მენშევიკები ირაზმებიან დენიკინ-კოლჩაკთან და მათთან საერთო ჩვენ არა გვაქს რაო.

ლენინის სიტყვები გამართლდა. დღეს მენშევიზმი ემსახურება ფაშიზმს. ეს ფაქტია. და იმის თქმა, რომ საქართველოს მენშევიზმი კარგია, ევროპის ცუდიო, აშკარა გაუგებრობაა. მე მეტს ვიტყვი, რუსეთის ცენტრ. კომიტეტმა საყვედურიც კი გამოუცხად ქართველ მენშევიკებს, როცა აქ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და უცხო ჯარები მოიწვიეს.

დავეთხოვოთ ამას. ავიღოთ დღევანდელი ტაქტიკა ქართველ მენშევიკებისა. ხომ უტყუარი ფაქტია, რომ დღეს ნოე ჟორდანია ამბობს საჭიროა შეიარაღებული ბრძოლა ბოლშევიკებთანო. როგორი გზები უნდა მას—ეს თქვენ იცით.

მენშევიკებს დიდი იმედები ჰქონდათ, რომ ჩაიშლებოდა რუსეთ-ინგლისის კონფერენცია. ჩხეიძე ჟენევაში ამბობდა არ მისცეთ სესხი ბოლშევიკებს, ისინი იმ ფულით გაძლიერებენ ჯარსო. რასაკვირველია, ინგლისი იმას არ დაუგდებდა ყურს, მაგრამ ასეთი პროპაგანდა მენშევიზმის საზღვარ-გარეთ ბიუროს ტაქტიკაა. მაკდონალდმა არ დაუჭირა მხარი ჟორდანიას. მაკდონალდი კი მეორე ინტერნაციონალის ლიდერია.

ჟორდანია წერდა, დაიწყონ აჯანყება მთიელებმა და მერე ჩვენ ჩავერიოთო.

ამ დირექტივების სისრულეში მოსაყვანათ აგზავნიდა თავის აგენტებს.

ჟორდანიას წერილმა და დირექტივებმა ვერ მიაღწია მიზანს. მისი აგენტები დღეს ჩეკაში სხედან. ისინი არიან ვ. ჯუღელი, ჩხიკვიშვილი, ქართველი გენერლები და სხვები.

ნ. ჟორდანია ამბობს, ვინც ებრძვის ბოლშევიკებს, ისინი ყველა რევოლიუციონერები არიანო. ამნაირად გამართლდა მენშევიკების ეროვნულ დემოკრატებთან კავშირი. საზღვარგარეთელ ბიუროში მენშევიკებთან ზის საქართველოს ნაციონალისტი, საქართველოს ვეშაპი—ვეშაპელი. იმან ცოტა არ იყოს უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა მენშევიკები იმით,

რომ დიდი წერილი მოათავსა მონარქისტულ გაზეთში. ამას წინათ საზღვარ-გარეთ იმაზეც კი მსჯელობდენ, თუ ვინ იქნება მომავალი მთავრობა, კადეტები წავიდეხ დათმობაზე და მთავრობა დაუთმეს ნ. ჟორდანიას. ეს იმედები გაცრუვდა ამ ბოლო დროინდელი ჩვენი ინგლისელებთან შეთანხმებით, დღეს ჟულელიც კი იძახის ჩეკაში, ისიც სხვანაირად ალაპარაკდა, თუმცა ჟორდანია ამბობს ყველაფერი და კერძოთ დევდარიანის ალაპარაკება კვანტალიანის ბრალი არისო.

ჩვენ კარგათ ვიცნობთ კვანტალიანს, მაგრამ არა გვგონია ის ისეთი პროფესორი იყოს, რომ მის ლექციებს რაიმე გავლენა მოეხდინა თუ გინდა დევდარიანზე. ძამანაშვილი მართალია, როცა ამბობს სწორია კომპარტიის გზა და კულტურულ აღმშენებლობაში უნდა ჩავერიოთო, მაგრამ არ არის მართალი ძამანაშვილი, როცა მოითხოვეს გადასახლებულების დაბრუნებას. მათი დაბრუნებით, მოხდება უაზრო სისხლის ღვრა, ამას ჩვენ, რა თქმა უნდა ვერ დავეთანხმებით. რა გარანტია არის, რომ ის ჩამოსული ხალხი ისევ, არ ჩაებმება მუშაობაში და არ მოაწყობს აჯანყებას.

ბენია ჩხიკვიშვილებზე სახარების კითხვას არავითარი შედ გი არ მოყვება, ვერც სეით დევდარიანის წერილები მოახდენს ბენიაზე და მისდაგვარ ხალხზე გავლენას. ყველა გულწრფელმა ამხანაგებმა უნდა გაგვიწიონ დახმარება კონტრ - რევოლიუციის ალაგმვაში და არ გვირჩიოს ამხ. ძამანაშვილივით ციხეების კარები გააღეთ, მენშევიკური პარტია ბევრი ეცადა, რომ ჩაეშალა თქვენი გამოსვლა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს, 25 აგვისტო არის ისტორიული დღე ჩვენს ცხოვრებაში.

კიდევ არიან მოქანავე ელემენტები და ჩვენ ვეცადოთ მათ გამორკვევას. კიდევ ბევრი მუშაობა არის საჭირო საქართველოში, კიდევ არიან დარჩენილები, მე არ ვეხები იმას საჭიროა თუ არა ცალკე ორგანო, ეს თქვენი საქმეა.

**კომპარტიამ აიღო გეზი, რომ ყოფილ მენშევიკის მცნება არ უნდა არსებობდეს— თქვენ შეგიძლიათ პირდაპირ მოსვლა ჩვენთან და ყველა თქვენგანი არის ჩვენი სრულ უფლებიანი წევრი. სიტყვა ყოფილი ალარ უნდა იყოს ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრების ლექსიკონიში.**

ამხანაგების პარტიაში მიღების შესახებ არის ყოველგვარი ზომები მიღებული, ყველა გულწრფელი ამხანაგები იქნებიან პარტიაში. ჩვენ გავიგეთ ერთი მეორე. ამის თავდებია დღევანდელი თათბირი. არ გამართლდა ჟორდანიას იმედი, თითქოს ყოფილები ისევ ძველ პარტიას დაუბრუნდებოდა—ეს ასე არ მოხდა. გარდა ორიოდე პიროვნებისა ყველანი ჩვენთან არიან. მალე გამოქვეყნდება გაზეთებში ის, თუ რას ამზადებდა არალეგალური ცეკა აჯანყების სახით.

ამხანაგებო! თქვენ დაავალეთ ვისაც გინდათ ცეკასთან ყველა იმ საკითხების მოგვარება, რომელიც თქვენში კიდევ დავას იწვევს. ჩვენ ვეცდებით, რომ ჩვენსა და თქვენს შორის რაც შეიძლება მჭიდრო, რაც შეიძლება ძმური და ამხანაგური დამოკიდებულება იქნეს. (მხურვალე ტაში).

* * *

მქექარე ხმები, ხმები შრომის, ხმები მღელვარი,
და ერთი წელი შენ კი მისი მთავარსარდალი,
შენ უკუ აგდე, შენ დაფლითე ძველი დავთარი,
და გზა მონახე, გზა ურყევი, მტკიცე ახალი.

შენს სამრეკვლოშიც გუგუნებს ხმა პროლეტარების,
და შენც დაანთე მტარვალთათვის ცეცხლი ბრძოლისა,
შენ მალამო ხარ დავრდომილთა წყლულ-იარების,
და შენს ფურცლებზე ჩვენ ვისმენთ ხმებს, ხმებს სიცოცხლისას.

მაშ გაუმარჯოს შენს გზას ურყევს, გზას განახლებულს,
და ერთმა წელმა უწინამძღვროს სხვა მილიონებს,
სიმართლის ხმით გულს მღელვარეს, გულს ამხედრებულს,
ვერ დამარცხებს ველარავინ,ვერ დაიმონებს.

შ. ქორიძე.

---

**პაიჭაძე**. წელიწადი შესრულდა 25 აგვისტოს შემდეგ, მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ ზოგიერთ ადგილებში ის ამოცანები, რომელიც ყრილობამ დასახა სავსებით არ შესრულებულა. მე მინდა ვსთქვა განსაკუთრებით ფოთზე. ლენინის კომპანიის დროს 10—15 ამხანაგი ჩაეწერა კომპარტიაში. სხვა კი გარეთ სდგას. შეიძლება ვინმეს იჭვი დაებადოს, თუ ისინი არ შედიან პარტიაში იქნება მუშაობენ არალეგულურათო.

მაგრამ ეს ასე არ არის.

ამას თუნდაც ისიც ამტკიცებს, ოომ არალეგალურ ცეკას დასჭირდა ვიღაც ჩაჩავას გამოგზავნა ფოთში სამუშაოთ. რომელსაც არავინ ფოთში არ იცნობდა, მაშასადამე ძველ მუშებში მათი მომხრე არავინ აღმოჩნდა,

**ერქომაიშვილი**. ამხანაგებო! წელს წლის თავზე გურიაში ყოფ. მენშევიკების რიცხვი გაცილებით გაიზარდა. ბიუროს მუშაობას ჩვენ დამაკმაყოფილებლათ ვსთვლით.

ორგანოს შესახებ მე ვიტყვი, რომ გაზეთი საჭიროა იმისათვის, რომ ფართე მასები შევაკავშიროთ.

**ჯიბლაძე**; ამხანაგებო, მე მინდა გაგაცნოთ სამტრედიის რაიონის მუშაობა. დამოკიდებულება პარტკომთან და პარტიულ ამხანაგებთან კარგი იყო.

ეს იქიდგანაც მტკიცდება, რომ საბჭოების არჩევნებში ჩვენი ამხანაგები დიდი ხალისით ჩაება.

ყრილობის შემდეგ, მართალია შეიქნა არალეგალური ჯგუფი სამტრედიაში, მაგრამ მუშები და გლეხები ამ ჯგუფებში არ გარევია, მათში უმთავრესათ იყო სპეკულიანტები და ვაჭრები.

ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები უკმაყოფილო არიან იმით, რომ პარტიაში არ არიან, ვინაიდგან ისინი პარტ. მუშაობას შეჩვეული არიან და ვერ ძლებენ პარტიის რიგების გარეშე.

**თელია ისიდორე**. ჩვენ გვაინტერესებს ჩვენი, მუშების ხელისუფლების გამაგრება. და მიუხედავათ ამისა ამხანაგების ერთი ჯგუფი დაზგის მუშები, რომელთა სტაჟი 10—15—20 წელია, უკმაყოფილონი არიან, რომ არ არიან ჩაბმულნი პოლიტიკური მუშაობაში. საჭიროა მათი პოლიტიკური მუშაობაში ჩაბმა. საჭიროა, ამ ქარხნის მუშებისათვის სათანადო ხელმძღვანელობა, ორგანიზაცია.

მე მინდოდა ამხ. ძამანაშვილისათვის პასუხი გამეცა, მაგრამ მან თვითონ გასცა თავის თავს პასუხი. ასეთი მერყეობა მუშებისათვის სახიფათოა.

საჭიროა თუ არა ბეჭდვითი ორგანო? მე გამაკვირვა ამხ. გაგლოევმა, როცა სთქვა, რა საჭიროა ორგანო, ჩვენ არაფერი დაგვრჩენია სამუშაოო.

მე ვეკითხები მას—ტფილისს გულისხმობს ის, თუ პროვინციას? ამას მოითხოვს განსაკუთრებით პროვინცია, სამეგრელო, ფოთი, გურია. იქ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ადგილობრივ, პროვინციებში, თუ არ იქნა გადახალისება, მუშაობა ვერ მიაღწევს მიზანს. ჟურნალი უნდა გამოვიდეს, ხელმძღვანელ ამხანაგებმა უნდა გააჯანსაღონ ეს მუშაობა და ჩვენ მივაღწევთ მიზანს.

ამხ. **ფარნიევი**: ამხანაგებო,აქ ბევრი ითქვა ჩვენი ჟურნალის არსებობის შესახებ. ყოველ ბეჭდვით ორგანოს სარედაქციო კოლეგიის გარდა სჭირდება კორესპონდენტების ფართო ქსელი.

ფარნიევი ჟურნალისტი და პუბლიცისტი არ არის, რომ მარტო იმან წეროს.

გვისაყვედურებდენ რატომ ციხიდან არავის ანთავისუფლებთო. ბევრ ჩვენ ამხანაგებს არ უნდათ ციხიდან გამოსვლა, თორემ მათ ჩვენი დახმარება არც ესაჭიროებათ.

ესეც, რომ არ იყოს, როგორ შეიძლება ერთბაშათ კარის გაღება და მუსიკით ხალხის გამოყვანა, ისიც, მაშინ როცა ჟორდანია იწერება—მიეცით წანადადება ციხეში მყოფთ, რომ განცხადებებით გამოვიდენო.

იძახიან ტყუილათ დაიჭირეს ხალხი, არაფერს არ აკეთებენო, მეც ვიძახოდი არაფერს არ ვაკეთებთ მეთქი, მაგრამ ვმუშაობდი პრაქტიკულად. დღეს, ამხანაგებო, მენშევიკებმა უპარტიონიც ჩააბეს მუშაობაში, რადგან იციან რომ ძველი პარტიულები ველარაფერს გააკეთებენ, რადგან მათ ყველას იცნობენო. რაც შეეხება ჟურნალს, სასურველია, რომ ამ ჟურნალის გავრცელება მოეწყოს, კორესპონდენციები მოგვაწოდონ.—

რაკი თათბირი ამის სურვილს გამოსთქვამს, ჟურნალის დანარჩუნება შესაძლებელი არის, მაგრამ, ვიმეორებ, უნდა გავაფართოვოთ მის ირგვლივ მუშაობა, უნდა შევქნათ თანამშრომლების მეტი რაოდენობა, გავადიდოთ ჟურნალის ტირაჟი და მივაწვდინოთ ის ჩვენი ქვეყნის ყველა მივარდნილ კუთხესაც-კი.

მე ვისურვებდი, რომ ეს ერთსულოვნობა და სულიერი სიმტკიცე, რომელსაც ჩვენ თათბი-

რის მუშაობაში ჰქონდა ადგილი, თქვენ ადგილობრივათაც გადაგეტანოს, ისეთივე თავდადებით გულწრფელათ და შეგნებით განგეგრძოთ საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობის და და გამაგრების სამსახური, როგორც ამ ერთი წლის განმავლობაში. (ტაში)

სანამ სხდომა დაიხურებოდა მუშა-პოეტი ხეჩუაშვილი კითხულობს თათბირისადმი მიძღვნილ საკუთარ ლექსს.

დასასრულ ამხ. ს. ფარნიევი თათბირის სხდომას დახურულათ აცხადებს. კრება მღერის ინტერნაციონალს.

## რეზოლიუცია

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის 1923 წ. 25 აგვ. ყრილობის აღსანიშნავად მოწვეულ გაფართოებულ თათბირმა, რომელსაც დაესწრო 253 დელეგატი, გაუკეთა რა ანალიზი ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებებს და დეკლარაციებს და შეაფასა რა ისინი განვლილ წლის მდგომარეობის გაკვეთილების მიხედვით, მივიდა შემდეგ დასკვნამდი:

1923 წლის 25 აგვისტოს ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება პარტიის ლიკვიდაციის და მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშის ქვეშ დადგომის შესახებ ობიექტიურათ მიზანშეწონილი და დროულად გადადგმული ნაბიჯი იყო. განვლილ წლის განმავლობაში ქართულ სოციალ-დემოკრატიის რღვევა და რევოლიუციონური გადაგვარება სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა წინ, ყრილობის წლის თავზე უკვე გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ქართული სოც.-დემოკრატია, როგორც მასიური მუშათა ორგანიზაცია აღარ არსებობს. ქართული მენშევიზმი დღეს განსაკუთრებით წვრილ-ბურჟუაზიულ ელემენტებიდან და ნაციონალისტურ ინტელიგენციისაგან შედგება. ამ პარტიის გარშემო თავს იყრის მთელი არამშრომელი ელემენტი; რომელთაც რევოლიუციამ ხელიდან გამოაცალა მამულები, ქარხნები, წოდება. ამ პარტიასთან არის—უსაქმოდ დარჩენილი სამღვდელოება და ოფიცრობა. ქართული სოციალ-დემოგრატია მეთაურობს დღეს მთელ რეაქციონურ ფრონტს და მასთან ერთად მიზნათ ისახავს საბჭოთა ხელისუფლების, მუშათა და გლეხთა მთავრობის დამხობას.

ნ. ჟორდანიას უკანასკნელი წერილი, სადაც ის აშკარათ ლაპარაკობს იარაღით აჯანყებაზე და მთელი ამიერ კავკასიის ამბოხების შესახებ, ნათლად მოწმობს, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია სამუდამოთ ჩამოშორდა მარქსისტულ მეცნიერებაზე დაყრდნობილ ბრძოლის გზას და პირწმინდა ავანტიურას დაადგა. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გალაშქრება, იმ ხელისუფლების, რომლის გამარჯვებამაც ამიერ კავკასიაში ეროვნული ზავი დაამყარა, მთელი მხარე ეკონომიურ აღორძინების გზაზე დააყენა და მშრომელ ხალხის მატერიალურ უფლებრივ გარანტიების საუკეთესო პირობები შექმნა, რეაქციის გამარჯვებას მოასწავებს და არსებითად მუშათა კლასის წინააღმდეგაა მიმართული.

სეით დევდარიანის მიერ პარტიის რიგების დატოვება და საბჭოთა პლატფორმის გაზიარება, მისი, როგორც პარტიის ერთ-ერთი მესვეურის და არალეგალურ ცეკას ყ. თავმჯდომარის მიერ გამოტანილი განაჩენი, რომელიც აცხადებს: რომ პარტიამ დაჰკარგა მარქსისტული გზა და პრინციპი, აჰყვა სურვილებს, სტიქიას და უფსკრულში გადიჩეხაო, ერთხელ კიდევ ადასტურებს 1923 წლ. 25 აგვისტოს ყრილობის მიერ გადადგმულ ნაბიჯების სისწორეს. პარტიის უკანასკნელ ყრილობის შემდეგ 25 აგვისტოს პლატფორმაზე გადმოვიდა ასობით და ათასობით ციხეში მჯდომი და გარეთ მყოფი ამხანაგები, რომლებიც მდგომარეობის ყოველმხრივ შეფარებების შემდეგ მივიდენ იმ დასკვნამდი, რომ 25 აგვისტოს აღებული გეზი ერთად-ერთი სწორი გზა იყო მდგომარეობიდან თავის დასაღწევათ.

ამის შემდეგ საქართველოს მშრომელ ხალხს აღარაფერი დარჩენოდა ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის რიგებში, იმ პარტიის, რომელმაც ეროვნულ დროშას ანაცვალა რევოლიუციურ პროლეტარიატის ინტერესები, რომელმაც სამუდამოთ ზურგი შეაქცია თავის წარსულ ტრადიციებს და დამსახურებას.

დღეს მთელი მშრომელი ელემენტი, რომელიც ერთ დროს ქართულ მენშევიზმის რიგებში იმყოფებოდა, გულისტკივილით იგონებს უკანასკნელ წლების უკუღმართ ბრძოლის დღეებს და გაასკეცებული ენერგიით იბრძოლებს პროლეტარულ დიქტატურის გასამარჯვებლათ და მუშათა ხელისუფლების განსამტკიცებლათ.

ჩვენ უკანასკნელად მოუწოდებთ ყველა იმათ, ვინც კიდევ არ გამოფხიზლებულა, ვინც დღესაც შეიძლება მისი ნების მიუხედავათ კიდევ რევოლიუციის საზიანო საქმეს ემსახურება, გონს მოვიდნენ, ჩაუფიქრდნენ რას სჩადიან და, სანამ კიდევ გვიან არ არის, დაუბრუნდნენ სწორ გზას.

უკანასკნელი მოწოდებით მივმართავთ ჩვენ ყველა საზღვარ-გარეთ მყოფთ, რომ ხელი აიღონ საბჭოთა კავშირის შინაურ და საერთაშორისო მდგომარეობის გართულებით საქართველოს განთავისუფლების ოცნებაზე, დაბრუნდნენ უცხო ქვეყნიდან და ხელი შეუწყონ საქართველოს მშრომელი ხალხის კეთილდღეობას, იმ ხალხის, რომელიც დღეს საბჭოთა ხელისუფლებასთან შედუღებული და შესისხლხორცებულია. საქართველოში მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამარცხება, მის მთლიან საბჭოთა კავშირიდან მოწყვეტა—შეუძლია მოითხოვოს დღეს მხოლოდ ნაციონალისტურ და შოვინისტურ ელემენტებს.

ყრილობის წლის თავის აღსანიშნავად მოწვეული თათბირი უკანასკნელი რჩევით მიმართავს ციხეში მყოფთ და გარეთ მცხოვრებ ამხანაგებს, რომელთა გულშიც სავსებით არ ჩამქრალა რევოლიუციურ წარსულის და ბრძოლის ნაპერწკალი, დაუბრუნდნენ მშრომელი კლასის მთლიან ოჯახს და კვლავ მის საკეთილდღეოთ იმუშაონ.

გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლიუციას და მის მებაირახტრე კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

## დადგენილება კომისიის მოქმედების და ბეჭვდითი ორგანოს შესახებ.

საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტიის 1923 წ. 25 აგვისტოს ყრილობის წლის თავის აღსანიშნავათ მოწვეულ გაფართოებულ თათბირმა, მოისმინა რა მოხსენება ყრილობის მიერ გამოყოფილ ამხანაგების მუშაობის შესახებ, რომლებიც ხელმძღვანელობდენ პარტიის რიგებიდან გასულ ამხანაგებს, და ბეჭდვითი ორგანო „სიმართლის ხმის“ საშვალებით განაგრძობდენ მენშევიკურ პარტიის ანტირევოლიუციურ ტაქტიკის მხილებას და გაურკვეველ ამხანაგების 25 აგვისტოს პლატფორმაზე დაყენებას, დაადგინა: ვინაიდან, ჯერ კიდევ არის საჭიროება ქართულ სოციალ-დემოკრატიის წვრილ ბურჟუაზიულ და ავანტიურისტულ პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის, ვინაიდან არალეგალური ცეკა და საზღვარ-გარეთის ბიურო დღესაც არ ეთხოვება საბჭოთა ხელისუფლების დამარცხების სურვილს და მის ნანგრევებზე დემოკრატიულ რეჟიმის რესტვრაციაზე ოცნებობას, თათბირი საჭიროდ სცნობს ბეჭდვითი ორგანოს დატოვებას და რევოლიუციის ამ დამღუპველ ტაქტიკის მხილების გაგრძელებას.

თათბირი გამოსთქვამს იმედს, რომ კომპარტიის ცენტ. კომიტეტი ?იიღებს ზომებს თათბირის ამ სურვილის განსახორციელებლათ. მიუხედივათ იმისა, რომ არალეგალური ცეკა და საზღვარ-გარეთის ბიურო მთელი წლის განმავლობაში არავითარ საშვალებას არ იშურებდა 25 აგვისტოს მიერ შექმნილ პლატფორმის გასაბათილებლათ და გამოფხიზლებულ თუ გამოფხიზლების გზაზე მდგომ ამხანაგების კვლავ ძველ, რევოლიუციის საზიანო საქმისაკენ გადასაბირებლათ, თათბირი აღნიშნავს, რომ ყრილობის მიერ სახელმძღვანელოთ გამოყოფილ ამხანაგების მუშაობა მეტათ ნაყოფიერი იყო და მიზანს სავსებით მიაღწია.

თათბირს ზედმეტად მიაჩნია ამის შემდეგ, როგორც ცენტრში, აგრეთვე ადგილობრივ ცალკე ბიუროების არსებობა და მოუწოდებს ყველა ამხანაგებს კიდევ უფრო მჭიდრო და უშუალო კავშირი დაიჭირონ კომპარტიის ორგანიზაციებთან.

## რა გავაკეთეთ, რა უნდა გავაკეთოთ

ახალგაზრდობა ბუნებით პროგრესიული და წინმსვლელობის ელემენტია. მათ ბრძოლას და მოქმედებას თავისებური, ჭაბუკური აღტკინება და მლგზნებარე ცეცხლის დაღი აკრავს.

ასეთია ახალგაზრდობა საერთოდ და ასეთი იყო ჩვენში მარქსისტული ახალგაზრდობაც. საქართველოს გასაბჭოების პირველ დღეიდანვე, როცა საქართველოს სოც.-დემოკრატია არალეგარულ მუშაობის გზაზე გადავიდა, ამ პარტიის მთელი ახალგაზრდობა თავდაყირა გადაეშვა იატაკ ქვეშ ბრძოლის მორევში და ახალგაზრდული გატაცებით გაჰყვა მის უკუღმართ ტრიალს.

რევოლიუციონურ წარსულს მოკლებული, მუშათა მოძრაობის ტრადიციების უჩვევი და

რევოლიუციის დუღაბში გაუვლებელი ახალგაზრდობა, ხარბათ დაეწაფა იმ სუფრას, რომელიც არალეგალურ ს.-დემოკრატიამ დაახვედრა მას იატაკ-ქვეშ.

ეს იყო ერის, სამშობლოს სიყვარულით შეზავებული შარბათი, რომლის სიტკბოშიც შოვინიზმის თვალუხილავი გესლი იმალებოდა; ეს იყო მუშათა კლასის, პროლეტარიატის თავისუფლების ლამაზ და თვალწარმტაც ლოზუნგებში გახვეული ნაციონალისტური შხამი, რომელიც სწამლავდა და ჰგესლავდა ახალგაზრდობის ნორჩ გულსა და სულს.

ბურჟუაზიულ სკოლის კედლებში აღზრდილი ახალი თაობა მას ჭეშმარიტ რევოლიუციონურ საქმედ ღებულობდა, ჭაბუკური გულუბრყვილობით ითვისებდა და საბჭოთა ხელისუფლების წინაალმდეგ ქართულ მენშევიზმს წინა რიგ ებში მიუძღვებოდა.

არსად, არც ერთ დემონსტრაციაზე, სადაც-კი ეს შესძლო როგორმე მოეწყო ქართულ სოც.-დემოკრატიას, ამ პარტიას მუშები არ გაჰყოლია. ყველგან და ყოველთვის, სადაც კი გამოსვლებს ოდესმე ჰქონდა ადგილი, „მარქსისტული“ ახალგაზრლობა, მოწაფეობა შეადგენდა უმთავრეს ლაშქარს.

არალეგალურ მუშაობის ხერხემლად თითქმის მთლიანად ახალგაზრდობა გადაიქცა. ძველი მუშები, ძველი კატორღელები და რევოლიუციონერები, რომლებიც ერთ დროს საკმაოდ მოიპოვებოდენ სოც.-დემოკრატიულ პარტიაში, გვერდზე გადგენ, მუშათა კლასის ლალატს, მის წინაალმდეგ ბრძოლას, ბევრმა კვლავ რევოლიუციის რიგებში დგომა ამჯობინა, ნაწილი ნეიტრალურ პოზიციაზე დადგა.

დარჩა არალეგალური ცეკა ახალგაზრდობის ამარა.

ამ საგზლით, მხოლოდ ისეთი კადრით, რომელიც მდიდარია გატაცებით და თავდავიწყებით, მაგრამ ღარიბი გამოცდილებით, სოც.-დემოკრატია სწორი გზით ვერასოდეს ვერ ივლიდა

და ეს ასედაც იყო. ავანტიურა, დღიდანდღეზე სხვისი იმედით ყოფნა, სადღე-სახვალიო სამზადისი და ამავე დროს მომავლის პერსპექტივის სრული გვერდის აქცევა. იატაკქვეშ გადასვლის პირველ ნაბიჯებიდანვე დაეტყო ქართულ მენშევიზმს. და ამაში არც ისე ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა თვით პარტიის შემადგენლობას, პარტიულ მასას. ეს მასა-კი იყო წვრილ-ბურჟუაზიული, ინდივიდუალისტურათ მოაზროვნე ანარქისტული ინტელიგენცია და სოც.-დემოკრატიის ახალი თაობა—მარქსისტული ახალგაზრდობა.

დღესაც ასეთია მდგომარეობა. რა თქმა უნდა 25 აგვისტო და შემდეგ 28 ოქტომბრის ყრილობებმა თავისი როლი ითამაშეს. ერთმაც და მეორემაც გამოჰგლიჯა ხელიდან ავანტიურის გზაზე მდგომ არალეგალურ ცეკას ასეული და ათეული ითასი მუშები და მასთან ახალგაზრდებიც, მაგრამ რაც დარჩა ისევ ამ პარტიის რიგებში—ეს მხოლოდ ინტელიგენციის და მოსწავლე ახალგაზრდობის ელემენტებია. მუშებისაგან შიგ მხოლოდ თითო-ოროლა რევოლიუციისათვის საბოლოოთ წყალწაღებული და დაკარგული თუ ურევია.

ამნაირათ აწინდელი ბრძოლა სოც.-დემოკრატიის ისედაც შერყეულ რიგებთან მისი უკუღმართი საქმის ბოლოს მოსაღებათ—არის არსებითად ბრძოლა ქართულ შოვინისტურ ინტელიგენციასთან და მოსწავლე ახალგაზრდობასთან. სოც.-დემოკრატიის მუშური ნაწილი უკვე ჩვენს რიგებშია.

და ეს საქმე, ახალი თაობის სწორ გზაზე დაყენება, მისი კიდევ, სანამ გვიან არ არის გამოსწორება, არის პირველ ყოვლისა თვით ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტების საქმე, რომელიც დგანან 28 ოქტომბრის ყრილობის პლატფორმაზე.

**ლადი ბოხუა.**

# ისინი.

ღამეების სიჩუმეში სძინავთ ქუჩა-ბანდებს,
სარდაფებში ამოძრავდენ და ადგენენ „გეგმებს“,
უგზავნიან საქართველოს მიცვალებულთ ლანდებს,
ასწავლიან ვით ებრძოლონ ,,ერის დამპყრობლებს“.

საქართველო გაუხდიათ სათამაშო ველათ,
ბრძოლისაკენ მოუხმობენ გულ-უბრყვილო გულებს:
მოვაწყოთო ეს ,,სამშობლო“ როგორც იყო ძველათ,—
და ამისთვის ევროპაში ღებულობენ ფულებს.

ღამეების სიჩუმეში ეს თავხედი ხალხი...
ისტორიამ ჩააბარა ისტორიის არქივს,
ჩვენ კი იმათ საფლავებზე არ ჩავიცვამთ თალხსა
და ამაყათ მოუწოდებთ მზიან ყოფნის არწივს...

**ლიდიანი.**

# საქ. ს. ს. რესპუბლიკის კომისართა საბჭოსაგან.

**მთავრობის ცნობა.**

მთავრობა საჭიროთ სცნობს მიაწოდოს მოქალაქეთ ნამდვილი ცნობები იმ ამბების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა გუშინ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში.

მენშევიკების ცეკას და არიტეტულ კომიტეტის ჰერ-ქვეშ მომუშავე ავანტიურისტებმა თავადი ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით დაიწყეს შეიარაღებული აჯანყება მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინაალმდეგ, მიუხედავათ იმისა, რომ მათ არა ერთხელ განუცხადებიათ რომ უარს ამბობენ შეიარაღებულ აჯანყებაზე საბჭოთა ხელისუფლების წინაალმდეგ. ეს მათი უნდა ჩაითვალოს სასოწარკვეთილ და უგნურ მოქმედებათ.

ამ მიზნით 28 აგვისტოს, დილის 4 საათზე, მენშევიკების ბანდიტებმა მოახდინეს თავდასხმა ჭიათურაზე. ეს ბანდა შესდგებოდა კონტრ-რევოლიუციონურ პარიტეტულ კომიტეტის წარმომადგენლებისაგან: ყოფილი პოლკოვნიკების, თავადების, აზნაურების და წარმოებლებისაგან. ჩვენ მიერ მიღებულ ზომებით ეს გამოსვლა ჩქარა იქნა ჩაქრობილი და ჭიათურაში აღდგენილ იქნა ნორმალური ცხოვრება. აჯანყების მომწყობნი და მეთაურნი დაჭერილებია და ყველა ისინი სასტიკათ დასჯილი იქნებიან.

საქართველოს ზოგიერთ სხვა კუთხეებშიაც მენშევიკებისაგან მოწყობილ იქნა ასეთივე ბანდიტური გამოსვლები, რომლებიც ჩაქრობილია თვით ადგილობრივ მშრომელთა ძალებით.

მთავრობის მიერ მიღებულია ზომები მტკიცე წესრიგისა და მშვიდობიანობის აღსადგენათ და მცხოვრებლების დასაცავად.

თბილისი 29 აგვისტო
სასახლე

# საპროტესტო კრება I სტამბაში

30 აგვისტოს პირველ სტამბაში, სადაც იბეჭდება „სიმართლის ხმა“, შესდგა მუშების საზოგადო კრება, რომელზედაც მოხსენებით გამოდდა ამხ. სანდრო ფარნიევი და სხვები. ვილის წესრიგში იდგა მენშევიკურ ავანტიურისადმი დამოკიდებულების კითხვა.

კრებამ გულდასმით მოისმინა მოხსენბა და თავის გულისწყრომა გამოსთქვა იმათ წინააღმდეგ, ვინც ქართველ მშრომელ ხალხს არ აძლევს მშვიდობიან რევოლიუციონურ და ეკონომიურ აღმშენებლობის საშვალებას. თავის სულისკვეთება კრებამ გამოხატა შემდეგ რეზოლიუც იაში.

მოვისმინეთ რა ამხ. ამხ. ს. ფარნიევის და აპენინსკის საინფორმაციო მოხსენება პარიტეტულ კომიტეტის მიერ მორიგ მენშევიკურ ავანტიურის შესახებ, რომელიც არის ქართველ თავად-აზნაურობის, გენერალ-მემამულების და ბურჟუაზიულ ხროვის საქმე, ერთხმად დავადგინეთ, რომ ყველანი ერთად წავალთ რევოლიუციის მონაპოვარის დასაცავათ, რათა ერხელ და სამუდამოთ დაუკარგოთ ჩვენ მოსისხლე მტრებს, მენშევიკებს, მემამულეებს, გენერლებს და ყველა ბურჟუაწიულ ბანაკს ჩვენი მონაპოვარის წინაალმდეგ ალაშქრების ხალისი.

წინადადებას ვაძლევთ ჩვენს გმუშათა დაგლეხთა მთავრობას დაუნდობლათ აღმოფხვრას ძველ წყობილების დაბრუნებისაკენ მიმართული კონტრირევოლიუციის ყოველივე ცდა.

ჩვენ არასოდეს არ დაუშვებთ, რომ ექსპლოატატორების მცირე ჯგუფმა გაიმარჯვოს ჩვენზე.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

სისხლი-სისხლთაგანს და ხორცი-ხორცთაგანს მუშათა კლასისა.

დაუზოგველი ბრძოლა მენშევიკურ კონტრ-რევოლიუციის ბოროტებასთან, რომელიც იცავს ბურჟუაზიის და მემამულეების ინტერესებს.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, მუშათა კლასის ინტერესების ერთად-ერთ დამცველს!

რის მუშაობაში ჰქონდა ადგილი, თქვენ ადგილობრივათაც გადაგეტანოს, ისეთივე თავდადებით გულწრფელათ და შეგნებით განვაგრძოთ საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობის და და გამაგრების სამსახური, როგორც ამ ერთი წლის განმავლობაში. (ტაში)

სანამ სხდომა დაიხურებოდა მუშა-პოეტი ხერუაშვილი კითხულობს თათბირისადმი მიძღვნილ საკუთარ ლექსს.

დასასრულ ამხ. ს. ფარნიევი თათბირის სხდომას დახურულათ აცხადებს. კრება მღერის ინტერნაციონალს.

## რეზოლიუცია

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის 1923 წ. 25 აგვ. ყრილობის აღსანიშნავად მოწვეულ გაფართოებულ თათბირმა, რომელსაც დაესწრო 253 დელეგატი, გაუკეთა რა ანალიზი ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებებს და დეკლარაციებს და შეაფასა რა ისინი განვლილ წლის მდგომარეობის გაკვეთილების მიხედვით, მივიდა შემდეგ დასკვნამდი:

1923 წლის 25 აგვისტოს ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება პარტიის ლიკვიდაციის და მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშის ქვეშ დადგომის შესახებ ობიექტიურათ მიზანშეწონილი და დროულად გადადგმული ნაბიჯი იყო. განვლილ წლის განმავლობაში ქართულ სოციალ-დემოკრატიის რღვევა და რევოლიუციონური გადაგვარება სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა წინ, ყრილობის წლის თავზე უკვე გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ქართული სოც.-დემოკრატია, როგორც მასიური მუშათა ორგანიზაცია აღარ არსებობს. ქართული მენშევიზმი დღეს განსაკუთრებით წვრილ-ბურჟუაზიულ ელემენტებიდან და ნაციონალისტურ ინტელიგენციისაგან შედგება. ამ პარტიის გარშემო თავს იყრის მთელი არამშრომელი ელემენტი; რომელთაც რევოლიუციამ ხელიდან გამოაცალა მამულები, ქარხნები, წოდება. ამ პარტიასთან არის—უსაქმოდ დარჩენილი სამღვდელოება და ოფიცრობა. ქართული სოციალ-დემოგრატია მეთაურობს დღეს მთელ რეაქციონურ ფრონტს და მასთან ერთად მიზნათ ისახავს საბჭოთა ხელისუფლების, მუშათა და გლეხთა მთავრობის დამხობას.

ნ. ჟორდანიას უკანასკნელი წერილი, სადაც ის აშკარათ ლაპარაკობს იარაღით აჯანყებაზე და მთელი ამიერ კავკასიის ამბოხების შესახებ, ნათლად მოწმობს, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია სამუდამოთ ჩამოშორდა მარქსისტულ მეცნიერებაზე დაყრდნობილ ბრძოლის გზას და პირწმინდა ავანტიურას დაადგა. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გალაშქრება, იმ ხელისუფლების, რომლის გამარჯვებამაც ამიერ კავკასიაში ეროვნული ზავი დაამყარა, მთელი მხარე ეკონომიურ აღორძინების გზაზე დააყენა და მშრომელ ხალხის მატერიალურ უფლებრივ გარანტიების საუკეთესო პირობები შექმნა, რეაქციის გამარჯვებას მოასწავებს და არსებითად მუშათა კლასის წინააღმდეგაა მიმართული.

სეით დევდარიანის მიერ პარტიის რიგების დატოვება და საბჭოთა პლატფორმის გაზიარება, მისი, როგორც პარტიის ერთ-ერთი მესვეურის და არალეგალურ ცეკას ყ. თავმჯდომარის მიერ გამოტანილი განაჩენი, რომელიც აცხადებს: რომ პარტიამ დაჰკარგა მარქსისტული გზა და პრინციპი, აჰყვა სურვილებს, სტიქიას და უფსკრულში გადიჩეხა, ერთხელ კიდევ ადასტურებს 1923 წლ. 25 აგვისტოს ყრილობის მიერ გადადგმულ ნაბიჯების სისწორეს. პარტიის უკანასკნელ ყრილობის შემდეგ 25 აგვისტოს პლატფორმაზე გადმოვიდა ასობით და ათასობით ციხეში მჯდომი და გარეთ მყოფი ამხანაგები, რომლებიც მდგომარეობის ყოველმხრივ შეფარების შემდეგ მივიდენ იმ დასკვნამდი, რომ 25 აგვისტოს აღებული გეზი ერთად-ერთი სწორი გზა იყო მდგომარეობიდან თავის დასაღწევათ.

ამის შემდეგ საქართველოს მშრომელ ხალხს აღარაფერი დარჩენოდა ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის რიგებში, იმ პარტიის, რომელმაც ეროვნულ დროშას ანაცვალა რევოლიუციურ პროლეტარიატის ინტერესები, რომელმაც სამუდამოთ ზურგი შეაქცია თავის წარსულ ტრადიციებს და დამსახურებას.

დღეს მთელი მშრომელი ელემენტი, რომელიც ერთ დროს ქართულ მენშევიზმის რიგებში იმყოფებოდა, გულისტკივილით იგონებს უკანასკნელ წლების უკუღმართ ბრძოლის დღეებს და გაასკეცებული ენერგიით იბრძოლებს პროლეტარულ დიქტატურის გასამარჯვებლათ და მუშათა ხელისუფლების განსამტკიცებლათ.

ჩვენ უკანასკნელად მოუწოდებთ ყველა იმათ, ვინც კიდევ არ გამოფხიზლებულა, ვინც დღესაც შეიძლება მისი ნების მიუხედავათ კიდევ რევოლიუციის საზიანო საქმეს ემსახურება, გონს მოვიდნენ, ჩაუფიქრდნენ რას სჩადიან და, სანამ კიდევ გვიან არ არის, დაუბრუნდნენ სწორ გზას.

უკანასკნელი მოწოდებით მივმართავთ ჩვენ ყველა საზღვარ-გარეთ მყოფთ, რომ ხელი აიღონ საბჭოთა კავშირის შინაურ და საერთაშორისო მდგომარეობის გართულებით საქართველოს განთავისუფლების ოცნებაზე, დაბრუნდნენ უცხო ქვეყნიდან და ხელი შეუწყონ საქართველოს მშრომელი ხალხის კეთილდღეობას, იმ ხალხის, რომელიც დღეს საბჭოთა ხელისუფლებასთან შედუღებული და შესისხლხორცებულია. საქართველოში მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამარცხება, მის მთლიან საბჭოთა კავშირიდან მოწყვეტა—შეუძლია მოითხოვოს დღეს მხოლოდ ნაციონალისტურ და შოვინისტურ ელემენტებს.

ყრილობის წლის თავის აღსანიშნავად მოწვეული თათბირი უკანასკნელი რჩევით მიმართავს ციხეში მყოფთ და გარეთ მცხოვრებ ამხანაგებს, რომელთა გულშიც სავსებით არ ჩამქრალა რევოლიუციურ წარსულის და ბრძოლის ნაპერწკალი, დაუბრუნდნენ მშრომელი კლასის მთლიან ოჯახს და კვლავ მის საკეთილდღეოთ იმუშაონ.

გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლიუციას და მის მებაირახტრე კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს სოციალისზმს!

## დადგენილება კომისიის მოქმედების და ბეჭდითი ორგანოს შესახებ.

საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტიის 1923 წ. 25 აგვისტოს ყრილობის წლის თავის აღსანიშნავათ მოწვეულ გაფართოებულ თათბირმა, მოისმინა რა მოხსენება ყრილობის მიერ გამოყოფილ ამხანაგების მუშაობის შესახებ, რომლებიც ხელმძღვანელობდენ პარტიის რიგებიდან გასულ ამხანაგებს, და ბეჭდვითი ორგანო „სიმართლის ხმის" საშვალებით განაგრძობდენ მენშევიკურ პარტიის ანტირევოლიუციურ ტაქტიკის მხილებას და გაურკვეველ ამხანაგების 25 აგვისტოს პლატფორმაზე დაყენებას, დაადგინა: ვინაიდან, ჯერ კიდევ არის საჭიროება ქართულ სოციალ-დემოკრატიის წვრილ ბურჟუაზიულ და ავანტიურისტულ პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის, ვინაიდან არალეგალური ცეკა და საზღვარ-გარეთის ბიურო დღესაც არ ეთხოვება საბჭოთა ხელისუფლების დამარცხების სურვილს და მის ნანგრევებზე დემოკრატიულ რეჟიმის რესტვრაციაზე ოცნებობას, თათბირი საჭიროდ სცნობს ბეჭდვითი ორგანოს დატოვებას და რევოლიუციის ამ დამღუპველ ტაქტიკის მხილების გაგრძელებას.

თათბირი გამოსთქვამს იმედს, რომ კომპარტიის ცენტ. კომიტეტი ?იიღებს ზომებს თათბირის ამ სურვილის განსახორციელებლათ. მიუხედივათ იმისა, რომ არალეგალური ცეკა და საზღვარ-გარეთის ბიურო მთელი წლის განმავლობაში არავითარ საშვალებას არ იშურებდა 25 აგვისტოს მიერ შექმნილ პლატფორმის გასაბათილებლათ და გამოფხიზლებულ თუ გამოფხიზლების გზაზე მდგომ ამხანაგების კვლავ ძველ, რევოლიუციის საზიანო საქმისაკენ გადასაბირებლათ, თათბირი აღნიშნავს, რომ ყრილობის მიერ სახელმძღვანელოთ გამოყოფილ ამხანაგების მუშაობა მეტათ ნაყოფიერი იყო და მიზანს სავსებით მიაღწია.

თათბირს ზედმეტად მიაჩნია ამის შემდეგ, როგორც ცენტრში, აგრეთვე ადგილობრივ ცალკე ბიუროების არსებობა და მოუწოდებს ყველა ამხანაგებს კიდევ უფრო მჭიდრო და უშუალო კავშირი დაიჭირონ კომპარტიის ორგანიზაციებთან.

## რა გავაკეთეთ, რა უნდა გავაკეთოთ

ახალგაზრდობა ბუნებით პროგრესიული და წინმსვლელობის ელემენტია. მათ ბრძოლას და მოქმედებას თავისებური, ჭაბუკური აღტკინება და მლგზნებარე ცეცხლის დაღი აკრავს.

ასეთია ახალგაზრდობა საერთოდ და ასეთი იყო ჩვენში მარქსისტული ახალგაზრდობაც. საქართველოს გასაბჭოების პირველ დღეიდანვე, როცა საქართველოს სოც.-დემოკრატია არალეგარულ მუშაობის გზაზე გადავიდა, ამ პარტიის მთელი ახალგაზრდობა თავდაყირა გადაეშვა იატაკ ქვეშ ბრძოლის მორევში და ახალგაზრდული გატაცებით გაჰყვა მის უკუღმართ ტრიალს.

რევოლიუციონურ წარსულს მოკლებული, მუშათა მოძრაობის ტრადიციების უჩვევი და

რევოლიუციის დუღაბში გაუვლებელი ახალგაზრდობა, ხარბათ დაეწაფა იმ სუფრას, რომელიც არალეგალურ ს.-დემოკრატიამ დაახვედრა მას იატაკ-ქვეშ.

ეს იყო ერის, სამშობლოს სიყვარულით შეზავებული შარბათი, რომლის სიტკბოშიც შოვინიზმის თვალუხილავი გესლი იმალებოდა; ეს იყო მუშათა კლასის, პროლეტარიატის თავისუფლების ლამაზ და თვალწარმტაც ლოზუნგებში გახვეული ნაციონალისტური შხამი, რომელიც სწამლავდა და ჰგესლავდა ახალგაზრდობის ნორჩ გულსა და სულს.

ბურჟუაზიულ სკოლის კედლებში აღზრდილი ახალი თაობა მას ჭეშმარიტ რევოლიუციონურ საქმედ ღებულობდა, ჭაბუკური გულუბრყვილობით ითვისებდა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ქართულ მენშევიზმს წინა რიგ ებში მიუძღვებოდა.

არსად, არც ერთ დემონსტრაციაზე, სადაცკი ეს შესძლო როგორმე მოეწყო ქართულ სოც.-დემოკრატიას, ამ პარტიას მუშები არ გაჰყოლია. ყველგან და ყოველთვის, სადაც კი გამოსვლებს ოდესმე ჰქონდა ადგილი, „მარქსისტული“ ახალგაზრლობა, მოწაფეობა შეადგენდა უმთავრეს ლაშქარს.

არალეგალურ მუშაობის ხერხემლად თითქმის მთლიანად ახალგაზრდობა გადაიქცა. ძველი მუშები, ძველი კატორღელები და რევოლიუციონერები, რომლებიც ერთ დროს საკმაოდ მოიპოებოდენ სოც.-დემოკრატიულ პარტიაში, გვერდზე გადგენ, მუშათა კლასის ღალატს, მის წინააღმდეგ ბრძოლას, ბევრმა კვლავ რევოლიუციის რიგებში დგომა ამჯობინა, ნაწილი ნეიტრალურ პოზიციაზე დადგა.

დარჩა არალეგალური ცეკა ახალგაზრდობის ამარა.

ამ საგზლით, მხოლოდ ისეთი კადრით, რომელიც მდიდარია გატაცებით და თავდავიწყებით, მაგრამ ღარიბი გამოცდილებით, სოც.-დემოკრატია სწორი გზით ვერასოდეს ვერ ივლიდა

და ეს ასედაც იყო. ავანტიურა, დღიდანდღეზე სხვისი იმედით ყოფნა, სადღე-სახვალიო სამზადისი და ამავე დროს მომავლის პერსპექტივის სრული გვერდის აქცევა. იატაკქვეშ გადასვლის პირველ ნაბიჯებიდანვე დაეტყო ქართულ მენშევიზმს. და ამაში არც ისე ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა თვით პარტიის შემადგენლობას, პარტიულ მასას. ეს მასა-კი იყო წვრილ-ბურჟუაზიული, ინდივიდუალისტურათ მოაზროვნე ანარქისტული ინტელიგენცია და სოც.-დემოკრატიის ახალი თაობა—მარქსისტული ახალგაზრდობა.

დღესაც ასეთია მდგომარეობა. რა თქმა უნდა 25 აგვისტო და შემდეგ 28 ოქტომბრის ყრილობებმა თავისი როლი ითამაშეს. ერთმაც და მაორემაც გამოჰგლიჯა ხელიდან ავანტიურის გზაზე მდგომ არალეგალურ ცეკას ასეული და ათეული ითასი მუშები და მასთან ახალგაზრდებიც, მაგრამ რაც დარჩა ისევ ამ პარტიის რიგებში—ეს მხოლოდ ინტელიგენციის და მოსწავლე ახალგაზრდობის ელემენტებია. მუშებისაგან შიგ მხოლოდ თითო-ოროლა რევოლიუციისათვის საბოლოოთ წყალწაღებული და დაკარგული თუ ურევია.

ამნაირათ აწინდელი ბრძოლა სოც.-დემოკრატიის ისედაც შერყეულ რიგებთან მისი უკუღმართი საქმის ბოლოს მოსაღებათ—არის არსებითად ბრძოლა ქართულ შოვინისტურ ინტელიგენციასთან და მოსწავლე ახალგაზრდობასთან. სოც.-დემოკრატიის მუშური ნაწილი უკვე ჩვენს რიგებშია.

და ეს საქმე, ახალი თაობის სწორ გზაზე დაყენება, მისი კიდევ, სანამ გვიან არ არის გამოსწორება, არის პირველ ყოვლისა თვით ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტების საქმე, რომელიც დგანან 28 ოქტომბრის ყრილობის პლატფორმაზე.

**ლადი ბოხუა.**

# ისინი.

ღამეების სიჩუმეში სძინავთ ქუჩა-ბანდებს,
სარდაფებში ამოძრავდენ და ადგენენ „გეგმებს“,
უგზავნიან საქართველოს მიცვალებულთ ლანდებს,
ასწავლიან ვით ებრძოლონ ,,ერის დამპყრობლებს“.

საქართველო გაუხდიათ სათამაშო ველათ,
ბრძოლისაკენ მოუხმობენ გულ-უბრყვილო გულებს:
მოვაწყოთო ეს ,,სამშობლო“ როგორც იყო ძველათ,—
და ამისთვის ევროპაში ღებულობენ ფულებს.

ღამეების სიჩუმეში ეს თავხედი ხალხი...
ისტორიამ ჩააბარა ისტორიის არქივს,
ჩვენ კი იმათ საფლავებზე არ ჩავიცვამთ თალხსა
და ამაყათ მოუწოდებთ მზიან ყოფნის არწივს...

**ლიდიანი.**

# საქ. ს. ს. რესპუბლიკის კომისართა საბჭოსაგან.

## მთავრობის ცნობა.

მთავრობა საჭიროთ სცნობს მიაწოდოს მოქალაქეთ ნამდვილი ცნობები იმ ამბების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა გუშინ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში.

მენშევიკების ცეკას და არიტეტულ კომიტეტის ჰერ-ქვეშ მომუშავე ავანტიურისტებმა თავადი ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით დაიწყეს შეიარაღებული აჯანყება მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ, მიუხედავათ იმისა, რომ მათ არა ერთხელ განუცხადებიათ რომ უარს ამბობენ შეიარაღებულ აჯანყებაზე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს მათი უნდა ჩაითვალოს სასოწარკვეთილ და უგნურ მოქმედებათ.

ამ მიზნით 28 აგვისტოს, დილის 4 საათზე, მენშევიკების ბანდიტებმა მოახდინეს თავდასხმა ჭიათურაზე. ეს ბანდა შესდგებოდა კონტრ-რევოლიუციონურ პარიტეტულ კომიტეტის წარმომადგენლებისაგან: ყოფილი პოლკოვნიკების, თავადების, აზნაურების და წარმოებლებისაგან. ჩვენ მიერ მიღებულ ზომებით ეს გამოსვლა ჩქარა იქნა ჩაქრობილი და ჭიათურაში აღდგენილ იქნა ნორმალური ცხოვრება. აჯანყების მომწყობნი და მეთაურნი დაჭერილებია და ყველა ისინი სასტიკათ დასჯილი იქნებიან.

საქართველოს ზოგიერთ სხვა კუთხეებშიაც მენშევიკებისაგან მოწყობილ იქნა ასეთივე ბანდიტური გამოსვლები, რომლებიც ჩაქრობილია თვით ადგილობრივ მშრომელთა ძალებით.

მთავრობის მიერ მიღებულია ზომები მტკიცე წესრიგისა და მშვიდობიანობის აღსადგენათ და მცხოვრებლების დასაცავად.

თბილისი 29 აგვისტო
სასახლე

# საპროტესტო კრება I სტამბაში

30 აგვისტოს პირველ სტამბაში, სადაც იბეჭდება „სიმართლის ხმა“, შესდგა მუშების საზოგადო კრება, რომელზედაც მოხსენებით გამოდდა ამხ. სანდრო ფარნიევი და სხვები. ვილის წესრიგში იდგა მენშევიკურ ავანტიურისადმი დამოკიდებულების კითხვა.

კრებამ გულდასმით მოისმინა მოხსენება და თავის გულისწყრომა გამოსთქვა იმათ წინააღმდეგ, ვინც ქართველ მშრომელ ხალხს არ აძლევს მშვიდობიან რევოლიუციონურ და ეკონომიურ აღმშენებლობის საშვალებას. თავის სულისკვეთება კრებამ გამოხატა შემდეგ რეზოლიუც იაში.

მოვისმინეთ რა ამხ. ამხ. ს. ფარნიევის და აპენინსკის საინფორმაციო მოხსენება პარიტეტულ კომიტეტის მიერ მორიგ მენშევიკურ ავანტიურის შესახებ, რომელიც არის ქართველ თავად-აზნაურობის, გენერალ-მემამულების და ბურჟუაზიულ ხროვის საქმე, ერთხმად დავადგინეთ, რომ ყველანი ერთად წავალთ რევოლიუციის მონაპოვარის დასაცავათ, რათა ერხელ და სამუდამოთ დაუკარგოთ ჩვენ მოსისხლე მტრებს, მენშევიკებს, მემამულეებს, გენერლებს და ყველა ბურჟუაწიულ ბანაკს ჩვენი მონაპოვარის წინააღმდეგ ალაშქრების ხალისი.

წინადადებას ვაძლევთ ჩვენს გმუშათა დაგლეხთა მთავრობას დაუნდობლათ აღმოფხვრას ძველ წყობილების დაბრუნებისაკენ მიმართული კონტრირევოლიუციის ყოველივე ცდა.

ჩვენ არასოდეს არ დაუშვებთ, რომ ექსპლოატატორების მცირე ჯგუფმა გაიმარჯვოს ჩვენზე.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

სისხლი-სისხლთაგანს და ხორცი-ხორცთაგანს მუშათა კლასისა.

დაუზოგველი ბრძოლა მენშევიკურ კონტრრევოლიუციის ბოროტებასთან, რომელიც იცავს ბურჟუაზიის და მემამულეების ინტერესებს.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, მუშათა კლასის ინტერესების ერთად-ერთ დამცველს!

# გაუგებრობის გასაფანტავად.

ზარშან, 25 აგვისტოს, სრულიად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყრილობამ აირჩია ბიურო, რომელსაც დაავალა ბეჭვდითი ორგანოს გამოცემა, გაშუქება-გაცნობა ყრილობის დეკლარაციების და პლატფორმის იმათთვის, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ დააღწიეს თავი ნაციონალიზმის ბურუსს. ბიურომ ყრილობის დამთავრებისთანავე გამოსცა ასეთი ორგანო, ჯერ „მოამბის“ და შემდეგ „სიმართლის ხმის“ სახელწოდებით, მართალია პირველ თვეებში ჩვენ თანამშრომლები ძალიან ცოტა გვყავდა. ზოგიერთ თანამშრომელს უხდებოდა თითქმის მთელი ჟურნალის შევსება სხვადასხვა ფსევდონიმებით, რაიც მკითხველისათვის წაკითხვისთანავე აშკარა ხდებოდა. მაგრამ, შემდეგ და შემდეგ, თანამშრომლების რიცხვი გადიდდა და ამ რიგად ჟურნალის ირგვლივ შემოიკრიბა კორესპონდენტების მნიშვნელოვანი ჯგუფები, როგორც თფილისში, ისე პროვინციებში და ერთი და იმავე თანამშრომელის მიერ სხვადასხვა ფსევდონიმებით ჟურნალის შევსებაც მოისპო. არა ნაკლები საყვედურებს გვეუბნებოდენ იმის შესახებ, რომ ჟურნალში მოთავსებული წერილები იდეურ შინაარსს მოკლებულია და მხოლოდ ლანძღვა-გინებას შეიცავსო. ამას სეით დევდარიანიც გვეუბნებოდა, როგორც თავის წერილებში, ისე მოხსენებების დროსაც. ყველას ყველაფერი თავისებურათ ესმის. მაგალითად, ნოე ჟორდანიას ბოროტებათ არ მიჩნია მუშათა და გლეხთა ხელისუფლების, სისტემის დამარცხება, ჩვენ, სეით დევდარიანს და გრიგოლ ლორთქიფანიძესაც კი პირიქით ეს დიდ ბოროტებათ მიგვაჩნია.

ამ ბოლო დროს იმასაც კი გვიყვედრიდენ, ვითომ სხვა ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებულ წერილებს ჩვენ ჟურნალში ვითვისებთ. მაგალითად 1) სეით დევდარიანის პასუხი ნოე ჟორდანიას პასუხზე „ეს პასუხი არ არის“, რომელიც დაიბეჭდა სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალ „მნათობში“ და 2) არჩილ რუხაძის წერილი „25—25—25—25“, რომელიც იყო მოთავსებული „Рабочая Правда“-ში 24 ამა აგვისსტოს.

თუმცა სასირცხო არაა სხვა გაზეთებიდან გადმობეჭვდა შინაარსიანი წერილებისა, მაგრამ ამით ზოგიერთებს უნდათ ჩვენ ჟურნალს სახელი გაუტეხონ. მართალია, სეით დევდარიანის წერილი „ეს პასუხი არ არის“ გადმოვბეჭდეთ ჟურნალ „მნათობიდან“, რომ მშრომელ მასისათვის განსაკუთრებით კი მუშებისათვის ხელმისაწდომი გაგვეხადა, ვინაიდან ეს წერილი განსაკუთრებით ამ წრეებისათვის იყო დაწერილი. რაც შეეხება მეორეს, ამას ადგილი არ ჰქონია ჩვენს ჟურნალში. მეთაური „25—25—25“ რომელიც მოთავსებულია ჩვენი საიუბილეო ჟურნალის მე 40-ე ნომერში, დაიწერა, აიწყო და დაიბეჭდა ერთი კვირით ადრე, რომლის არსებობის შესახებ არჩილ რუხაძემ მის წაკითხვამდის არაფერი იცოდა, ვინაიდან უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში ის ისე დატვირთული იყო საქმეებით, რომ არ ეცალა რედაქციაში შემოსასვლელადაც კი. ე. ი. ის არც არჩილ რუხაძეს ეკუთვნის, და მხოლოდ შურით აღვსილი გულის პატრონს შეუძლიან სათაურების ერთფეროვნების მიხედვით მიაკუთნოს ერთდაიმავე პიროვნებას ეს ორი წერილი და ამით დასცეს ჩვენი ჟურნალის სახელი. მიუხედავად ყველა ამისა და აგრეთვე იმისაც, რომ სარედაქციო კოლეგია მოითხოვდა ჟურნალის გამოცემის შეჩერებას, 25 აგვისტოს მოწვეულმა თათბირმა მაინც ერთხმად დაადგინა, რომ ჟურნალმა განაგრძოს თავისი არსებობა.

ს. ფარნიევი.

---

# მოგონების სურათები.

I

უდარდელი და ცელქი მოწაფე ვარ, მიტაცებს გმირული თავდადება და საიდუმლოება. მოწაფეებში ჩურჩული შეიქნა ვიღაც „ბუნტოვჩიკებზედ“ და მათ საწინააღმდეგოთ მომქმედ „შავ“ ეტლზედ. ერთ დღეს ვიღაცამ ამბავი მოიტანა „დღეს „დეპო“ არა მუშაობს პირველი მაისია, წავიდეთ შევუერთდეთო“. ჩვენც მეტი არ გვინდოდა, ეზოში წყალსადენზე ფიცრის შემონალობი დავანგრიეთ, ვცემეთ დაბალი განყ. მოწააფეებს და მწკრივად დაწყებულნი, სიმღერით და უმეთაუროდ გავემგზავრეთ „დეპოსკენ.“ რკ. გზ. საქონლის სადგურამდე მშვიდათ მივაღწიეთ, იქ-კი შორიდან დავინახეთ ჟანდარმი, უკან მოვიხედე და ჩვენი რაზმელების მხოლოდ ქუსლები ჩნდა, მეც არ ჩამოვრჩი მათ, ჟანდარმი-კი პაპიროს აბოლებდა და რაღაცას უაზროთ უყურებდა. ეს იყო 1903.

აქედან დაწყებული სოციალისტური სენი მიპყრობს, ვერ ვისვენებ და მუშათა რიგებისკენ ვიწევი. მამამ შემატყო რომ „ნასწავლ კაცათ აღარ ვარგივარ“ და სასწავლებელის „დამთავრების შემდეგ სტამბაში გადამიყვანა. მეც მიხაროდა ჰუჰყიანი ხალათი. მაგრამ ჰუჰყიან ხალათზე ის უფრო მიხაროდა, რომ ხელოსნების ყუთებს საიდუმლოთ ვავსებდით ფურცლებით. ერთხელ ერთმა „ხულიგანმა“ ხელოსანმა მომასწრო, როცა მის ყუთში ფურცელს ვდებდი, მომეპარა და ყურით სტამბის უფროსისკენ მათრევდა, მოვიკრიბე ძალა, დაუსხლტი ხელიდან და ფურცლებით ჯიბებ გატენილი ქუჩაში გავარდი; იქით აღარ მიმიხედნია.

1905 წ. წინამორბედი ლეგალური მერცხალი „Кавказский рабочий листоки“ გამოდის. გვიხარიან მისი აწყობა. ყოველ ნომერს ახალ-ახალი ენტუზიაზმით დავხარით. მალე გაზეთი მიგვიხურეს და ისევ ქუჩაში დავრჩი. მოქნეული ვაების ტალი, მოხვდა უბედურების კვერს და დაინთო 1905 წ. პრიალა ცეცხლი. სიცოცხლეს მიეცა მიზანი. ვნახე არნახული სიზმარი, ტფილისის ქუჩები აივსო წითელი დროშებით. „გოროდოვოები“ ქუჩაში არხეინათ კითხულობენ ფურცლებს. მღვდლები ყრილობებზედ იძრობენ ანაფორებს. ქვეყანა აივსო სიხარულით, ჯარი ვარჯიშობის მაგივრად დემონსტრაციას მართავს და მარსელიეზას სიმღერით დადის ქუჩებში. ნაძალადევი მიტინგების ბუდეთ გადაიქცა; ტფილისი ნაძალადევში გადასახლდა. 19 ოქტომბერია, ნაძალადევის მიტინგი დაიძრა ავლაბრისკენ, მივადექით ტფილისის კოლას, ნასროლი ფურცლების გუნდებით ჩაუმტვრიეთ დახურული ფანჯრები, ჯარის-კაცები „Царья батюушка“-ს ემხრობიან, სხვა ვინც გინდა ლანძღე. აგიტაცია ვერა სჭრის. აგერ ხალხის თავზე გამოჩნდა ვიღაც ორდენებით გაჭედილი იაპონიის ომში დაჭრილი ჯარისკაცი, აზარტში შესული ერთი ხელის მოსმით იგლეჯს ათიოდე ორდენს და გამეტებით ესვრის ყაზარმის ფანჯრებს, ოვაციებს დასასრული აღარ ჰქონდა, კინაღამ მოკლეს საწყალი...

ნაძალადევში ცხრა ამხანაგის დახოცვით, დიდუბეში ზარბაზნის გრიალით და 22 ოქტომბრით მთავრობამ ომში გამოგვიწვია. ჩვენც ჩავებით ბრძოლაში, მაგრამ, უხმოდ და სამკვდრო—სასიცოცხლოდ. ვიბრძოდით დღე, ვიბრძოდით ღამე. ქუჩაში და ქარხანაში. ვიბრძოდით ყველგან, ყოველთვის და ყველაფრით. ჩვენთვის არ არსებობდა, დრო, გარემოება, ძალთა განწყობილება, ყველაფერი დავიწყებული იყო, გარდა ერთი მიზნისა, საზარელი მტრის დამარცხებისთვის ბრძოლა შეუჩერებელი და დაუსვენებელი.

უმაგალითო ბრძოლაში დაიჭიმა ძარღვები მეტის ჯაფით და სიმშილით დასუსტდა სხეული; დასვენებაა საჭირო, მაგრამ, იმ დროს, დასვენებაზედ ფიქრიც სირცხვილი იყო და ამ დროს სრულიად წინააღმდეგ ჩვენი სურვილსა ნაძალადევის ტყეში ტფილისის კომიტეტის ერთ-ერთ კრებას სუნი აუღეს მზვერავებმა და „დასასვენებლად“ წაგვიყვანეს...

II

ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა დაძრული მატარებელი რუსეთისკენ მიმაქროლებდა. თუმცა ხელზე ბორკილები ხშირად გამახსენებდნენ ხოლმე მწარე სინამდვილეს, მაგრამ, რა არის ბორკილები იმ გრძნობასთან შედარებით, რომ ჩემ მტერს უფასოდ მივყავდი „აღთქმის“ ქვეყნის სანახავად...

როსტოვის ციხიდან, დაღლილი დაწყვეტილი, უბინაო, უფულო, უცნობი უცხო ქალაქში, გამომისტუმრეს ოთხივ-კუთხივი სასეირნოდ. ციხიდან გამოსული დიდხან ვიხედებოდი აქეთ-იქიფ თოფიან დარაჯის ლანდს მიჩვეული.

დიდის ვაი ვაგლაგით ერთ-ერთ სტამბაში ვიშოვნე 22 წლის კაცმა, მოწაფის ადგილი, რადგან ასოთ ამწყობობა დიდი ხნის დავიწყებული მქონდა. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა სტამბის გამგემ მიცნო, როგორც ტფილისში ნამყოფმა, ხოლო როცა დაუმატა-გახსოვს „Кавказ“-ის სტამბაში ფურცლების დარიგებისთვის რომ ყური აგიწიეო, მაშინ-კი ადგილის დაკარგვის მოლოდინით მწუხარებამ შემიპყრო, მაგრამ დამამშვიდა—ის აღარა ვარო.

29 ნოემბერია. საშინელი ქარი უბერავს, ჯერ ცოტა წამოწვიმა, მერე თოვლი მოვიდა. მე ბინა არა მაქვს. ხუთი ღამე ამხანაგთან მეძინა მეტი აღარ შეიძლებოდა. უპალტოვოს, უკალოშოს, არც ზამთრის ქუდი, არც თბილეული გამოწყობილი ვარ ტფილისის ყაიდის სოციალისტურად. ამხ. მოწონელიძეც ამედევნა. ნრც იმასა ჰქონდა ბინა. სიცივემ მოგვიჭირა. ააბიჯს აუჩქარეთ. მივადექით სასტუმროს—არ შეგვიშვეს, საბუთები არა გვქონდა აღებული ჯერ. ყველა სასტუმროები შემოვიარეთ, მაგრამ, ტყუილად. დავდივართ, თოვლი მთლად

გვასვლელებს. ქალაქი ათჯერ დავთვალეთ გავზომეთ სიგძე-სიგანეზე. შევხვდით „აკალოდოჩნიკს", ვთხოვე ერთი ღამით დაპატიმრება, არყის ფულიც შევაძლიეთ, მაგრამ არ მოისურვა ჩვენი დაპატიმრება ისე, თუ ბოროტებას არ ჩავიდენდით. ისევ ქუჩა გამოდგა ღვთისნიერი, არც ფული გვთხოვა, არც საბუთები და ჩემი ამხანაგით იმ ღამეს ქუჩის სტუმარი ვიყავი, ქუჩაც ქარის სისინით და თოვლის ჩურჩულით გვართობდა...

მოვიარე, როსტოვ—ვორონეჟ—პენზა—სარატოვი — ცარიცინი — ასტრახანამდე ვოლგით, მაგრამ მაინც გავიპარე „ალმთქის" ქვეყნიდან და ტფილისში ჩიხლაძეთ გადავიქეცი. ჩიხლაძეობამ ვერ მიშველა და ფეხით ვიარე კახეთისკენ ივრის სადგურამდე. იქ რკ გზ. ხიდზე ვიმუშავე, ორი კვირის შემდეგ გაფიცვა მოვაწყე. გავიმარჯვეთ, მხოლოდ მე როგორც კაციაშვილი „დავმარცხდი" და იქიდან გაქცეული ჭიათურამდე არ გავჩერებულვარ. ჭიათურამ, როსტოვის ქუჩაზე ნაკლებ არ მიმიღო. 1913 დასასრულიდან 1917 წ. რევოლიუციამდე ჩემი პატრონი ჭიათურა იყო. რამდენჯერმე დამაპატიმრეს, ისე ეჭვით, მაგრამ, მალე მანთავისუფლებდენ დარწმუნებულნი,რომ ხიზანაშვილი ვიყავი.

ვის არ ახსოვს ჭიათურის დამთხვეული ბოქაული კვარაცხელია. ის უწინდელზედ უფრო დაგეშილი გამოდგა და სუნი ამართო, რომ მე ჯაფარიძე ვარ. კოოპერატივ „ჩვენი ოჯახის" გამგე ვიყავი ერთ დღეს დამიბარა გამგეობის თავმჯდომარემ და მითხრა: კვარაცხელიამ შემატყობინა, რომ იმალები, შენი დაპატიმრება უნდა—ანგარიში ჩამაბარეო. ანგარიში ჩავაბარე და თავსაც ვუშველე. კვარაცხელია ველარა მპოულობდა, თუმცა ბევრსაც მეძებდა. მე—კი საიდუმლო ბინიდან დღეში რამდენჯერმე ვხედავდი. გადაწყდა ჩემი წასვლა ჭიათურიდან, მაგრამ, სად? წასვლის დღე დანიშნული მაქვს: სამი დღის შემდეგ უნდა წავიდე. უცბად მრავალ მნიშვნელოვანი საიდუმლოებით ლაპარაკობენ პეტერბურგის ამბებზედ.ქარიშხალის წინ მიყუჩდა ყველაფერი. გამოუცნობელმა საიდუმლოებამ მოიცვა ადამიანის სულიერი არსება. სუნთქვა იკვრის „რაღაცას" მოლოდინში, გინდა გაიგო, მაგრამ არ იცი, ვერავისგან ვერ გაგიგია, სად, რა და როგორ? ჩემი წასვლის დღეც მოახლოვდა, უნდა წავიდე, მაგრამ, „რაღაცას" მოლოდინია. კვარაცხელია-კი ჩქარობდა.

Ш

3, 4 და. 5 მარტია. ბურუსის შავი ფარდა ნელნელა იწევა. დაბოლოს გამოჩნდა ახალი ცხოვრების სურათები... კვარაცხელიებმა, დაიგვიანეს, მათ ნება დაურთველად აიწია ფარდა-დაგვიანებისათვის სამაგიეროც მიიღეს... რომანოვების სამ სართულიანი ყინულის შენობა თავისუფლების მზემ კვალ-დაუმჩევნად გაადნო. მონობისაგან წელში გაწყვეტილ ილოტებს რა საქმე აქვთ მათ ყოფილ ბატონების ტრაგედიასთან გასწორდა წელში ილოტი—მუშათა კლასი და გონზე მოსულმა ღრმა საფლავი გასთხარა და შიგ ჩამარხა „ძველი".

აღელდა, აბობოქრდა შავი ზღვა—ჭიათურა ათასი წლობით მიდუნებული ძლიერება მოძრაობაში მოვიდა და ვაი მას, ვინც მის უდროვოთ დამშვიდებას მოისურვებს: ხალხის სტიქიას თავის გარდაუვალი კანონები უწერია.

როლები შეიცვალა, ეხლა კვარაცხელიამ დაინიშნა ჭიათურიდან გასვლის დღე. ველარ მიპოვია, ალბათ ის ყოველ დღე მხედავდა საიდუმლო ბინიდან... „წინანანი უკან".

გამაგრებულმა ზღვის ღელვამ ძირიდან მაღლა ამოგვატივტივა და მოძრაობის საქმე, რევოლიუციის უფლებით ჩვენ მოგვანიჭა...

7 მარტმა აგრძნობინა მტერს მათი ქალალდის უფლებაზედ ჩვენი რევოლიუციონური უფლების უპირატესობა... გადასწყდა ამალამ ჩამოერთოს ადმინისტრაციას იარაღი. საკმარისი იყო ელსმენით დაძახება, რომ ორი ბოქაული ოთხი თანაშემწით პაგონებ აყრილი ფრონტში გამოჭიმნენ. სკამზედ ვერ დავსხით, ფეხზედ გაჭიმულან: ასე არიან აღზრდილნი.

გუშინდელ „ბოროტ მოქმედის" წინაშე კანკალებენ.

მათ შორის ვიცანი კვარაცხელია, იმანაც მიცნო.

არ ეგონა. თუ ცოცხალი გადარჩებოდენ. ცოლ-შვილს გვაბრალებდნენ, ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ ისინი უკვე დასჯილნი იყვნენ იმით, რომ „ზღვის" ძირში მოექცნენ.

ნახევარი საათის შემდეგ, კვარაცხელია ამხანაგებით დაპატიმრებული იყო და საკრებულო ბილიარდი გაივსო „სტრაჟნიკებისგან" ჩამორთმეული იარაღით. ეს იყო გადამწყვეტი მომენტი, მიჯნა, რომლის იქით რევოლიუცია შესდგა რკინით შეკრულ მკვიდრ ნიადაგზე. ჩვენ შევიარაღდით თავიდან ბოლომდე.

მილიონებით დამწვარ გულებიდან ამოხდა უკანასკნელი ძლიერი გმინვა, და თავის ემბლემათ. საუკუნოების მანძილზედ წვეთობით დანთხეული საკუთარი სისხლით შეღებული წითელი დროშა აათრიალა. წინ დარაჯათ თითონ დაუდგა და მიზნათ დაისახა:

ან თავისუფლება ან სიკვდილი.

ზ. ჯაფარიძე.

# მოწერილი ამბები

## ჭიათურა

(მოგონების მაგიერ)

ზოგიერთისათვის დღესაც გაურკვეველია თუ სად დაიბად მენშევიკების ყრილობის მოწვევის აზრი, ქუთაისში თუ ტფილისში, მხოლოდ ერთი კი ცხადია, რომ მას არ ჩამორჩა არც ერთი კუთხე საქართველოსა და პარტიულ ტაქტიკის გადაფასებამ ყველგან დიდი გამოძახილი ჰპოვა.

ქუთაიში და ტფილისში არ იყო დამთავრებული მენშევიკთა საქალაქო და სარაიონო ყრილობები, რომ ქ. ჭიათურის შავი ქვის მუშების ერთ ნაწილში დაიბადა სურვილი ჭიათურის სამაზრო ს.-დ. პარტიის წევრთა მოწვევის და პარტიის ტაქტიკის გადაფასების.

მოწვეული იყო ქალაქის შავი ქვის მტვირთავ მუშათა საერთო კრება, რომელზედაც არჩეული იქნა კომისია ყოფილ მენშევიკების სამაზრო ყრილობის მოწვევის სახელმძღვანელოთ და ჩასატარებლათ.

ამ კომისიაში რამდენადაც მახსოვს შედიოდენ ამხ. ნ. ცირეკიძე, იკო კავთელაძე პარტიის ძველი წევრი და გ. მებუკე. ამავე დროს სარაიონო კრებები მოხდა ზესტაფონში, რომელმაც გამოყო თავის წარმომაოგენელი, ამხ. ვასო მაჭავარიანი, ყრილობის მომწვევ კომისიაში.

ამორჩეული კომისია შეუდგა სამაზრო მასშტაბით მუშაობას. დაბა სოფლებში გავაგზავნეთ წარმომადგენლები ადგილობრივათ მოხსენების გასაკეთებლად, ჩავიარეთ ყველა მაღაროები, გავმართეთ ფართე მოხსენებები—კამათი. ყველა სიხარულითა და აღფრთოვანებით გვხვდებოდა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ მსჯელობაში. უკვე ჩატარებულია წინასწარი მუშაობა სამაზრო კონფერენცისათვის. ყველა უპარტიო თუ პარტიული, მოუთმენლათ მოელიან კონფერენციის გაბედულ სიტყვას, რომელიც უნდა გაიხსნას 18 აგვისტოს.

გათენდა 18 აგვისტო—დღე მზიანი, წყნარი და ლამაზი.

დილიდან ჭიათურას განსაკუთრებული სიცოცხლე ეტყობა, სახალხო-სახლი, სადაც კონფერენცია უნდა გახსნილიყო მაყურებელი ხალხით გაივსო. ყველას აინტერესებს ყრილობის მსვლელობა და მისი დადგენილებანი, ყველა გაფაციცებით ეძებდა შესასვლელ ბარათებს დილის 10 საათიდან დელეგატებმა იწყო თავის მოყრა, ჩამოვიდნენ მაზრის ყველა კუთხიდან.

კონფერენციის ჩასაშლელად ჩამოსულმა არალეგალურ ცეკას წარმომადგენლებმა თავის მიზანს ვერ მიაღწიეს და იძულებული შეიქნენ კუდ აძუებული უკან გაბრუნებულიყვნენ, ვინაიდან მათმა ყალბმა და ცარიელმა სიტყვებმა ვერ გასჭრა და სინამდვილემ თავისი გაიტანა.

ყრილობაზე გამოცხადდა ას დელეგატზე მეტი, რომელიც წმრმოადგენდა 500 საუკეთესო ძველი პირტიის წევრის სურვილებს.

სრულს 12 საათზე გაიხსნა კონფერენცია, რომელიც ერთსულოვანი აღმოჩნდა. არ იყო აზრთა სხვადასხვაობა, თუ მხედველობაში არ არ მივიღებთ ერთი ახალგაზრდა მაქსიტის გამოსვლას, რომელმაც მეტად სუსტად შეასრულა არალეგალურ ცეკას მიერ მაზე დაკისრებული სული და თავისი ბავშური, მეტიჩრული გამოსვლით ნათელი გახადა სრული სიკოტრე გაბოროტებულ ცეკას სურვილებისა.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ გადაღებული იქმნა საერთო სურათი ყველა დელეგატების და შემდეგ ამისა მთელი კონფერენციის შემადგენლობა წითელი დროშებით და რევოლიუციონური სიმღერით ქუჩაში გამოვიდა სამანიფესტაციოთ.

ამნაირათ ჩვენ ერთი წლის წინათ სწორათ შევაფასეთ ჩვენი პოლიტიკური ხაზი, დაუბრუნდით ჩვენს ოჯახს, ჩვენს საკუთარ კერას, ჩვენს საქმეს, რომ დროებით დაშორებულ ამხანაგებთან—ძმებთან ერთად ვიბრძოლოთ მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის, მესამე კომინტრანის და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

მ. ვ.

## —„სიმართლის ხმის“ რედაქცია

აცხადებს ამხანაგების საყურადღებოთ, რომ თათბირის დადგენილების თანახმად უნდა გაგრძელდეს ბეჭვდითი ორგანოს გამოცემა.

ამისათვის რედაქცია მიმართავს ყველა ადგილობრივ პასუხისმგებელ ამხანაგებს 15 სექტემბრამდი 1924 წლისა გვაუწყონ ხელმომწერთა რიცხვი. ორგანოს გამომცემლობის ნივთიერი უზრუნველყოფისათვის საჭიროა არა ნაკლებ 2000 ხელის მომწერისა.

ყოველივე ცნობა და მიწერ-მოწერა ამის შესახებ უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: **თბილისი, ტრამვაის სამმართველო.** ამხ. **ხანდრო ფარნიევს.**

## —„სიმართლის ხმის“ რედაქცია.

სთხოვს ყველა ადგილობრივ ამხანაგებს, რომლებიც განაგებენ ჩვენი ჟურნალს გავრცელების საქმეს, გაასწორონ ყოველივე ანგარიშები არა უგვიანეს 15 სექტემბრისა.

ფულის და წერილების გამოგზავნა შეიძლება შემდეგი მისამართით: **თბილისი, ტრამვაის სამმართველო, ამხ. სანდრო ფარნიევს.**

## ს. ახატელი.

(ადგილობრივ ხელისუფლების საყურადღებოთ)

2 აგვისტოს, ს. ახატელში დაასაფლავეს ყოფილი თავადი დავით მგალობლიშვილი. თავადი მგალობლიშვილი, როგორც „ბრწყინვალე“ თავადი, ზოგიერთების გადმოცემით თურმე სხვებივით მკაცრი არ ყოფილა, მაგრამ, ლაფში რომ გლეხკაცის კამეჩი ჩაწვებოდა. ჯარიმას ათ მანეთს ახდევინებდა. აშკარაა ამ ცნობიდგან რა იქნებოდა ეს თავადი ბატონყმობის დროს. მის დასაფლავების დროს გამოდის მიცვალებულის ბიძაშვილი, ტიტო მგალობლიშვილი, (თელავის მაზრის სახალხო გამომძიებელია) კონტრრევოლიუციონური სიტყვით და ეუბნება მიცვალებულს შემდეგ სიტყვებს: **ძვირფასო მოხუცო ბიძაშვილო, შენ, შენი მოხუცებულობის ბოლო ხანები ტანჯვაში გაატარე და დღევანდელი წყობილების ბოლმამ გამოგასალმა სიცოცხლეს, წადი ძვირფასო ბიძაშვილო, და გადაეცი ჩვენს წინაპრებს, რომ ჩვენ ახლო მომავალში გავიმარჯვებთო.** აი ასე დაამთავრა თავისი სიტყვა ბ. მგალობლიშვილმა. ეხლა მე ვფიქრობ, დასაშვებია ასეთი აშკარა კონტრევოლუციონერები, რომ მსახურობდეს ჩვენს ორგანოებში თუ არა? და ამასთან ერთად რამდენი არამზადა იქნება კიდევ ჩვენს საბჭოთა დაწესებულებებში შემძვრალი და მარცხენა თვალით რომ ქალაქდებში იცქირება, მარჯვენა თვალი პარიზისკენ უჭირავს.

ყველამ კარგათ ვიცით თუ რა გამოიხატება ამ უკანასკნელის სიტყვაში, რომელსაც ის აბარებს თავის ბიძაშვილს, წინაპრებთან. აქ, რათქმა უნდა, ბ. მგალობლიშვილის აზრში გამოიხატება თავად-აზნაურობის და ჩოლოყაშვილების გამარჯვება. მაგრამ ამას ისინი ვერ მოესწრებიან. ამისთანა ავაზაკებს გაუსწორდება პროლეტარიატის მაგარი ხელი. მაგრამ ეხლავე საჭიროა ამისთანა ელემენტებისაგან გაიწმინდოს ჩვენი მუშურ-გლეხური დაწესებულებები. და მათ მიუჩინონ იმისთანა ადგილი, სადაც ჭკუას ისწავლიან.

**ტანჯული მუშა.**

---

## თელავი.

(მილიციის საყურადღებოთ).

თელავის ვიწრო ქუჩები სავსეა ხოლმე, უფრო მეტათ კვირა დღეობით, ცხენებით, ხარებით, ურმებით, რომლებიც გადმოდიან ახლომახლო სოფლებიდან და აგრეთვე სავსეა ხოლმე მოსიარულე ხალხით. მიუხედავად ამისა ამ ქუჩებში დააჭენებენ ცხენებს, რომელიც უნდა ჩაითვალოს დაუშვებელ მოვლენათ. ცხენების უთავბოლო ჭენებას შეიძლება მოჰყვეს რაიმე ხიფათი, მარცხი, ვინაიდგან გალეშილი „მხედრები“ სხდებიან ცხენებზე, „ბეგოვკებზე“ და აჭენებენ წაღმა-უკუღმა, ხან აქეთ და ხან იქით.

კარგი იქნებოდა, სანამ ასეთ მოქმედებას ცუდი შედეგი მოჰყვებოდეს, ერთხელ და სამუდამოთ მოეღოს ბოლო მას.

ქალ. თელავის ადმინისტრაციავ, მიაქციე ამას ყურადღება და ააშორე ხალხი ხიფათს.

**ქარტო.**

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ამხ. რედაქტორო!**

მე მინდა ჩემი ხმაც შეუერთო ამხანაგებს, ამიტომ გთხოვთ „სიმართ. ხმის“—უახლოეს ნომერში დაბეჭდოთ შემდეგი

1905 წელში, მე შევედი სოც-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრად.

თებერვლის რევოლიუციამ მე მომასწრო ქ. ბათუმში, სადაც მე ჩავები, როგორც პარტიულ (ბოლშევიკურ), ისე სხვა რევოლ. ორგანიზაციების მუშაობაში, რაიც გაგრძელდა ბათუმის დაცემამდი და შემდეგაც რამდენიმე თვე. ამ დროს, ჩემდა საუბედუროთ, მე ტეხნიკურათ მოვწყდი ბოლშევიკურ პარტიას, რადგან ამხანაგები შემომეფანტნენ და გადავწყვიტე ბათუმიდან გამოპარვა, მაგრამ საზღვარზე, სად. ნატანებში, მენშევიკების მიერ ვიქმენ დაპატიმრებული, როგორც ბოლშევიკი; განთავისუფლების შემდეგ მე ჩამოველი თბილისში და ნივთიერ გაჭირვების გამო იძულებული ვიყავი შევსულიყავ სამსახურში საქ. სატრანსპორტო საზოგადოებაში, საიდანაც ჩქარა გადაველი ტრამვაიში-საწყობის გამგეთ. უკანასკნელიდან კი მიწვეულ ვიქენ ტეხნიკურ მდივნათ ტრამვაის გვარდიის შტაბში და 1919 წ. დამლევს ამირჩიეს იმავე შტაბის თავმჯდომარეთ.

ყოველივე ეს მოხდა, როგორც ზევით აღვნიშნე, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბოლშევიკურ ორგანიზაციას შემთხვევით მოვწყდი და მეორე მხრით მოვყევი მენშევიკურ დაუცხრომელ აგიტაციის გავლენის ქვეშ ბოლშევიკების წინაამდეგ, რომლებზედაც ვრცელდებოდა მაშინ საშინელი და ფანტასტიური ხმები.

სამაგიეროთ, ამ სამი წლის განმავლობაში, საქართველოში საბჭოთა ხელის-უფლების დამყარების შედეგ მე ვხედავდი, როგორი წარმატებით ვითარდებოდა საბჭოთა ძალაუფლება და როგორი თანდათანობით მტკიცდებოდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ—ეკონომიური მდგომარეობა. მე დავინახე, რომ იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომებით და სიმშილით განაწამები რუსეთი—საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის მეოხებით სწრაფი ნაბიჯით აღორძინდა ეკონომიურად და ფეხზე დააყენა მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკები.

ყოველივე ზემოხსენებულის გამო ამით ვაცხადებ, რომ მენშევიკურ წვრილ ბურჟუაზიულ ბუნებასთან არავითარი კავშირი არა მაქვს და წარსულში მასთან ერთათ თუ ვმუაობდი ამის მიზეზი იყო ის, რომ პარტიის წვრილ ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიას თავის დროზე ალღო ვერ ავართვი. ამჟამათ-კი მენშევიკური პარტია მთლად გაშიშვლდა და საბოლოოდ დაუკავშირდა კონტრ-რევოლიუციას, ამიტომ არცერთ პატიოსან რევოლიუციონერს არ შეფერის იქონიოს რაიმე კავშირი მენშევიკურ პარტიასთან. გულწრფილათ გამოვსთქვამ ჩემს მწუხარებას წარსული შეცდომების გამო და კვლავ ვუბრუნდები იმ ოჯახს, რომელთანაც პირველათ გავიცან ჩემი მოქალაქობრივი უფლება-მოვალეობანი.

უერთდები ყოფილ მენშევიკების მიერ ყრილობაზე მიღებულ დეკლარაციებს და სავსებით ვიზიარებ კომპარტიის და მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის პროგრამა-ტაქტიკას.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელიუფლებას!

გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციას!

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს 25 აგვისტოს.

**ა. გ. დუმბაძე.**

---

**სარედაქციო კოლეგია:**
**ა. ფარნიევი.**
**ა. რუხაძე.**
**კ. თოფაძე.**
**ნ. ჩლაიძე**
**გ. ვარდიანი.**
**ა. ქყონია.**

ს. მ. უ. ს. პოლ. განყოფ. 1-ლი სტამბა შეკვ. № 3746.

ნებადართულია ლიტ. გამ. და მართ. მიერ მთავ. № 1783